№ 3015
ოთხშაბათი,
1 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 3015
ოთხშაბათი,
1 მარტი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუა, დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

1906 წელს
„ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით 6 მან. ერთის თვით 50 კაპ.

საზღვარ-გარეთ გაგზავნით ერთის წლით 11 მან. ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარი ოსკარ შმერლინგისა და კოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი. „ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი".

ადრესი: Тифлисъ. редакція „Цнобисъ Пурцели".

5 მარტიდან გამოვა ახალი
ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„განთიადი"

ამ წლის დამლევამდის გაზეთი ღირს ტფილისში დატარებით და სხვა ქალაქებში გაგზავნით 5 მან., ერთის თვით—50 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ.
გაზეთი „განთიადი" გაეგზავნება „სხივის" ხელის მომწერთაც.
რედაქცია იმყოფება ველიკოკნიაჟევსკაია ქუჩაზე, № 17.
საფოსტო ადრესი: Тифлисъ, редакція „ГАНТІАДИ".
(3—ო—2) რედაქტორ-გამომცემელი თ. კიკვიძე.

გაზეთი ივერია 1906 წელს

გამოვა ყოველკვირეულ გაზეთად, ზომით ერთიდან ორ თაბახამდის.
ფასი გაზეთისა წლის დამლევამდის ტფილისსა და ტფილისს გარედ გაგზავნით 3 მან., 5 თვით—2 მან.
„ივერიის" შარშანდელ ხელის მომწერთ დაურიგდებათ წიგნებად დაკლებული პრემიები №№ 8—11, რომლებიც უკვე დაბეჭდილია, ხოლო დანარჩენ ერთი წიგნის მაგიერ გაეგზავნებათ ყოველკვირეული „ივერია" ერთი თვის განმავლობაში.
პირველი ნომერი კვირეულ „ივერიისა" გამოვა 5 მარტს.
ხელის მოწერა მიიღება „ივერიის" რედაქციაში. ფრეილინის ქუჩაზე, № 5.
საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „ИВЕРІА".
რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი. გამომცემელი თავ. პ. ი. თუმანიშვილი

ილია, ლუცია, მარიამ და თამარ ქუთათელაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 27 თებერვალს დაბა ხონში გარდაიცვალა მეუღლე პირველისა და დედა უკანასკნელთა

ეკატერინე ალექსის ასული ქუთათელაძისა.

მიცვალებულს გამოასვენებენ დილის 11 საათ. დაასაფლავებენ დაბა ხონში 2 მარტს.

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
მ. ზ. ალაჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.
ე. ნ. იზიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი ელექტრონით წამლობა.
ბ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
ზ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ი. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. ბ. კიმოეტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
ბ. ა. ზეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—47)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთა მიღება ყოველდღე, კვირეების გარდა.

დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი,
უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერიული და ქირურგიული ავადმყოფობანი.
ქ. ი. გძელიშვილი: 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვის ავადმყოფობანი.
ა. ი. შჩერბინინა: 1½—2 ს. საბებიო და ქალთა ავადმყოფობანი.
ზ. ი. გურგენოვი: 1—2 ს. ქალისა და საბებიო ავადმყოფობანი.

საღამოობით:
ა. მ. პუზინოვი: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობანი და ყვავილის აცრა.
ნ. ზ. აზიანცი: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი: 7—7½ ს.

რჩევა-დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана
Тифлисъ, противъ памятника Воронцова. (წლ.)

სადურგლო

ვიღებ ყოველ გვარს შეკვეთილებას, როგორც შენობის კარ-ფანჯარის გაკეთებისას, ისე ოთახის მისაწყობ ავეჯეულისას, აგრეთვე ძველის ავეჯის შეკეთებას. იქვე, სახელოსნოში, დამზადებულია სხვა და სხვა შკაფები კაკლისა და საწერი სტოლი თავის სავარძლით, მიხეილის ქუჩა, ს. ს. № 132, ვეტცელის სასტუმროს პირდაპირ. სახელოსნო მ. ჩოდრიშვილისა. (6. 4—4)

ქ. ქუთაისში
ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
იღებს ავადმყოფებს (ყური, ყელი, ცხვირი და შინაგანი სნეულებანი), პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელისა. (15—კვ.—13)

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვერენიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე. საღამოთი 5-დან—8 საათამდე. (300—5.—42)

მედიცინის დოქტორი
გრიგოლ იოსების ძე გურგენოვი,
რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5 დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მლივნიზა, საარტისტო საზოგადოების პირდაპირ. (30—53 13)

ექიმი
გ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი საჩინშვილისა.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 14) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—12 მდის.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი. თოსტის პირდაპირ № 8. (წლ.)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სვამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, მატინოვის სახლი 32. ძველ ბინის გვერდზე.

უკუღმართი დროის მსხვერპლის, ჩემი შვილის **ნატალიას** უდროოდ სიცოცხლის მოსპობის გამო, ვინც პირადათ, წერილით და ტელეგრამით ჩვენს განუსაზღვრელს მწუხარებაში პატივი გვცეს და გვანუგეშეს, უგულითადესს და ღრმესს მადლობას ვუძღვნით.

მწუხარებაში მყოფი მშობლები: მღვდელი რაჟდენ ხუნდაძე და მეუღლე მისა ოლღა ასათიანის ასული. (1—85—1)

ტფილისი, 1 მარტი.

„კავკ. უტრო"-ს სპეციალური კორესპონდენტი ატყობინებს გაზეთს პეტერბურგიდან, რომ იქაური პრესსა იხილავს ჩვენის ქვეყნის მდგომარეობას, ჩვენს აწიოკება-დარბევას და თავის თავს ეკითხება—რა უნდა ეშველოს ქვეყანას დღესვე, რათა ცოტათი მაინც შემსუბუქდეს მისი ტანჯვა-ვაებაო. ჯერ არ ვიცით დაწვრილებით, რას ამბობს ამაზე პეტერბურგის პრესსა, მაგრამ კორესპონდენტს დასახელებული აქვს ერთი ღონისძიება: დაუყოვნებლივ შემოღებულ უნდა იქნას ამიერ-კავკასიაში ერობაო.

ერობა!.. ვინ ჩამოთვლის, რამდენი შრომა და მეცადინეობა გაუწევია ჩვენს საზოგადოებას ამ დაწესებულების მისაღებად? ვინ არ იცის, რამდენი ხანია ჩვენი ქვეყანა მოელის ამ რეფორმას, რამდენჯერ იყო გადაწყვეტილი და რამდენჯერ ისევ ჩაიფუშა ეს საქმე?! „ყოვლის შემძლე" ბიუროკრატიამ არ იქნა და არ გამოიმეტა ჩვენთვის ეს უბრალო თვითმართველობა. ოცდაათი წელიწადია მხოლოდ ამ დაწესებულებას და ორიოდ სხვა რეფორმას ვთხოულობდით, ათასნაირად ვუმტკიცებდით მის საჭიროებას; მაგრამ ამაოდ. იქვეიანმა და თვითნებობის ატმოსფეროში გახრწნილმა ბიუროკრატიამ ვერ გამოიმეტა ჩვენის ქვეყნისათვის ეს ელემენტარული უფლებაც-კი.

პეტერბურგის პრესსა მართალს ამბობს, რომ ერობა დღეს, დღევანდელ საშინელ პირობებში, გამოგვადგებოდა, ხალხს რაიმე სამსახურს გაუწევდა. ადგილობრივ საზოგადოებრივ ძალთა ორგანიზაცია, რაც უნდა სუსტი იყოს ეს ორგანიზაცია, გაჭირვების დღეს მოახერხებდა და რაიმე მალამოს დასდებდა ხალხის საშინელს წყლულს. ერობის მოღვაწენი, ხალხთან დაახლოვებულნი, ხალხის ნდობით აღჭურვილნი, შესძლებდნენ და აწიოკებულ ხალხს ზნეობრივსა და ქონებრივ დახმარებას აღმოუჩენდნენ.

ეს მართალია და ამის წინააღმდეგ ძნელია რამეს თქმა; შეგვიძლიათ მივუთითოთ შიდა რუსეთის ერობაზე და გვითხრან: იქ რას აკეთებს დღეს ერობა, რით შველის განადგურებულ სოფლებსაო, მაგრამ ეს საბუთი საკმარისი არაა. შიდა რუსეთის ერობა ბევრგან რეაქციის მსხვერპლი გახდა: ბევრი სამსახურიდან დაითხოვეს, ბევრი დაატუსაღეს. მიუხედავად ამისა, თანდათან გონს მოდის და მალე გამოიჩენს საზოგადოებრივ ძალას. ბევრგან კიდეც შეუდგნენ მუშაობას: ზარალის აღნუსხვას, დამშეულთა დახმარებას, სესხის გაცემას, საზოგადო მუშაობათა ორგანიზაციას და სხვა. რაც უნდა ცალმხრივი და სუსტი იყოს ადგილობრივი თვითმართველობა, მაინც შეუძლია საქმეებს უპატრონოს, ნამეტურ ისეთ დროში, როცა ქვეყანას უბედურება რამ ეწვია—განადგურება ან შიმშილობა.

ასე რომ, ერობა კარგი იქნებოდა დღეს რომ გვყოლოდა, მაგრამ ბიუროკრატიის მეცადინეობით რეფორმა დაგვიგვიანდა, ძალიან დაგვიგვიანდა და ახლა, ცოტა არ იყოს, არ გვესმის სატახტო ქალაქის პრესსის აზრი: დღევანდელ გაჭირვებას რა ეშველება, ხვალ რომ ერობა შემოიღონ. ადგილობრივი თვითმართველობა—ფართო, თავისუფალი და სახალხო თვითმართველობა—ჩვენის ქვეყნისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ იგი უთუოდ განხორციელებულ უნდა იქმნას. მაგრამ ამის **დრო დღეს** მაინც არ არის. დღევანდელ მთავრობის რეფორმა სიკეთეს მომასწავებელი არ იქნება; ყველაფერი, რაც მისის ხელით კეთდება დღეს, ფალსიფიკაცია არის; ყველაფერს ისე აკეთებს და ისე აწყობს, რომ ბიუროკრატიის ხელში იყოს ყველაფერი, მისი მორჩილი იყოს. ხოლო ასეთი ერობა რად გვინდა?!

არა, ჩვენ გვგონია, რომ ყოველი ასეთი რეფორმა მომავალმა ნამდვილმა სახალხო წარმომადგენლობამ უნდა განახორციელოს. დღეს კი მთელი ჩვენი ძალ-ღონე ისევ ამ წარმომადგენლობისათვის ბრძოლასა და მოღვაწეობას უნდა მოხმარდეს. ჩვენ გვწამს, რომ შორს აღარ არის ის დღე, როცა რეაქცია იარაღს დაჰყრის და განთავისუფლებელი მოძრაობა გაიმარჯვებს. მაშინ გადაწყდება ერობის საქმეც და სხვა ჩვენი თვალსაჩინო და წვრიმალი ჟამთა სიავეც. მანამდის კი არა გვჯერა, რომ ბიუროკრატიამ რაიმე გამოიმეტოს ჩვენთვის ან თუ გამოიმეტა, ხეირიანი რამ შეჰქმნას.

სხვა არა იყოს რა, ვერ გაგვიგია: დღეს როგორ უნდა იქმნას განხორციელებული ერობა?! მთელი საქართველო სამხედრო ბანაკად არის ქცეული; ქალაქი, დაბა-სოფელი იწვის, ხალხის ავლა-დიდება განადგურდა, ათასი უდანაშაულო ციხეში ზის, ბევრის სისხლი დაიღვარა და იღვრება... ამისთანა პირობებში მცხოვრებმა ხალხმა როგორი მონაწილეობა უნდა მიიღოს ერობის განხორციელების საქმეში?..

ამიტომ, დღეს-დღეობით ჩვენი შველა, ჩვენი უკიდურესი საჭიროება ის არის, თავიდან მოგვაშორონ სამხედრო წესები, ეს გამხეცებული კონტრ-რევოლიუცია შეაჩერონ, მიასვენონ ხალხი დარბევა-აწიოკებასა და შეურაცხყოფისაგან და სამაგიეროდ მისცენ მას ღონისძიება ისარგებლოს დაუბრკოლებლად სიტყვის, პრესსის და კრების თავისუფლებით, ე. ი. იმ ელემენტარულ მოქალაქობრივ უფლებებით, რომელიც 17 ოქტომბრის მანიფესტმა აღუთქვა. ხალხი მაშინ თითონ გამოარკვევს, რა გზას დაადგეს ახლო მომავალში, როგორ განიკურნოს დღევანდელი წყლული; თვითონ იტყვის, როგორი ერობა უნდა. თუ მახლობელ დროში უაზრო და უბოროტესი რეპრესიები არ მოისპო, ჩვენი ქვეყანა ვერც სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას და ვერც ვერავითარ რეფორმის განხორციელების საქმეში.

რას ამბობს ახალი რედაქტორი?

გაზეთმა „ნოვოე ობოზრენიემ" გუშინ რედაქტორი შეიცვალა; ეხლა რედაქტორად არის ბ-ნი ნ. ა. ნემიროვიჩ-დანჩენკო; რედაქცია გუშინდელს ნომერში აცხადებს, დღეიდან ჩვენ თანამშრომლებად იქნებიან ისინი, რომელნიც თავიანთ შეხედულებებით კონ.-დემოკრატთა და სხვა მემარცხენე პარტიებს უახლოვდებიანო. რომელი მემარცხენე პარტიები ჰყავს სახეში ახალს რედაქციას, ეს ჯერ-ჯერობით არა ჩანს, მაგრამ ტფილისის კონ.-დემოკრატთა ჯგუფის ჭრელ ხასიათს კი რედაქტორის მეთაური წერილი უკვე საკმაოდ ცხად ჰყოფს.

აღნიშნავს რა რუსეთის სარევოლიუციო მოძრაობის სტიქიურ ხასიათს, ბ-ნი ნემიროვიჩ-დანჩენკო საჭიროდ სთვლის ბრძოლას ამ ხასიათთან და ასეთის ბრძოლისთვის ერთად-ერთ საშუალებად მიაჩნია, დაუპირდაპირდეს ძალმომრეობას და თვითნებობას კარგად შეკრული, კოლლექტიური აზრი და მისწრაფება.

ამ აზრით ფართოდ უნდა გამოყენებულ იქმნას მომავალი არჩევნები სახელმწიფო სათათბიროს წევრებისა.

ბრალდება, ვითომ კ.-დ. პარტია თავის წევრებად ისეთ ბურჟუაზიულ წრეების იღებდეს, რომელთა ჭეშმარიტი დემოკრატიზმი ძალიან საეჭვოა—ეს ბრალდება კრიტიკას ვერ უძლებს. ყოველ პოლიტიკურ პარტიის უპირველესი მიზანი ის არის, რომ გასტეხოს ფართო წრეების (მასსის) პოლიტიკური ინდიფერენტიზმი (გულგრილობა); ამ მიზნის მისაღწევად კი იმაზე უკეთესი საშუალება არ მოიძებნება, რომ ამომრჩევლები მოიყვანოთ საარჩევნო კრებაზე და იქ აგრძნობინოთ, რა მშვენიერებაა პოლიცეური „ზედამხედველობა" არჩევნებისა...

მემარჯვენეთაგან ჩვენ განვსხვავდებით ეროვნულ საკითხის საქმეში.

სამწუხაროდ, უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ მეტად მწვავე საკითხის გადაწყვეტა ჩამოყალიბებული არ არის, რადგან პრინციპიალურად აღიარება ეროვნულ თვითგამორკვევის უფლებისა ჯერ კიდევ საქმის გადაწყვეტა არ არის. ჩვენ იმედი გვაქვს საზოგადოების დახმარებით მახლობელ ნომრებში გამოვარკვევთ ამ საკითხს, ეხლა კი მხოლოდ ის შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ჩვენ მომხრე ვართ თითოეულ ეროვნების სრულ კულტურულ თვითგამორკვევისა, თუნდაც ამ თვითგამორკვევამ ავტონომიის სახე მიიღოს...

რუსეთში კონ.-დემოკრატებს არჩევნებში მონაწილეობა იმიტომ ჰსურთ მიიღონ, რომ შემდეგ სათათბიროში მოქმედებით რუსეთი დაამშვიდონ. ბ-ნი ნემიროვიჩ-დანჩენკო-კი სხვა-ფრივ უყურებს საქმეს: ხალხმა უნდა დაინახოს, რა ცუდია პოლიტიკური „ზედამხედველობა", რომ ამის გამო პოლიტიკური გულგრილობა გატყდესო. ჩვენ გვგონია, ბ-ნს დანჩენკოს არხეინად შეუძლიან იყოს, პოლიცია კონ.-დემოკრატთა პარტიის მიუხედავადაც ძალიან მეცადინეობს, ღრმად აგრძნობინოს ხალხს, რას ჰნიშნავს საპოლიციო ზედამხედველობა, ასე რომ არჩევნების ექსპერიმენტი სრულიად საჭირო არ არის. პოლიტიკურ ინდიფერენტიზმის გასატეხად ეხლა, რეაქციის სასტიკად გაძლიერების შემდეგ, თუ დაგვიჯერებს ახალი რედაქტორი, უფრო ისაა საჭირო, რომ პოლიციის „ზედამხედველობის" უძლურება გამოსჩნდეს და არა იმისი ძლიერება საარჩევნო კრებებზე. გარდა ამისა, თვით ეს პოლიტიკური ინდიფერენტიზმიც იმდენად რეალური ფაქტი არ არის, რამდენადაც ტფილისის კონ.-დემოკრატთა ფანტაზიის ნაყოფი. ხალხმა უკვე იგემა თავისუფლება ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, უკვე შეუდგა დემოკრატიულ მმართველობის განხორციელებას, უკვე ღრმად შეიჭრა პოლიტიკურ ბრძოლის მორევში და ეხლა პოლიტიკურ ინდიფერენტიზმის შესახებ ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, დაგვიანებულად მიგვაჩნია.

საინტერესოა აგრეთვე, რომ ტფილისელი კონ.-დემოკრატი აცხადებს, მე მომხრე ვარ ეროვნების კულტურულ თვითგამორკვევისაო, მაგრამ ამას კი ივიწყებს, რომ ეს "17 ოქტომბრის კავშირის" პრინციპია და არა კონ.-დემოკრატებისა, რომელნიც გაცილებით ამაზე შორს მიდიან და **პოლიტიკურ** თვითგამორკვევის პრინციპს სცნობენ. ბ-ნი ნ. დანჩენკო კულტურულ თვითგამორკვევას ბოლოში ავტონომიასაც აკერებს, თითქოს იმ განზრახვით, რომ კონ.-დემოკრატთა პარტიის პრინციპების გადაჩეხება არ შეეტყოს. ჩვენ გვგონია, რომ ასეთი ხერხი კავკასიაში მცხოვრებ ერებს შეცდომაში ვერ შეიყვანს და მიუხედავად „პოლიტიკურის ინდიფერენტიზმისა", მაინც ყველა მიხვდება, რომ კულტურულის თვითგამორკვევის პრინციპი ავტონომიას ვერც შეიგუებს და ვერც მოითხოვს. ბ-ნ ნემ.-დანჩენკოს სავალალოდ, პირიქით, ამასთანავე ერთად შეიტყობენ კავკასიის ერები, რომ ეს მიწებება ავტონომიისა კულტურულ თვითგამორკვევის პრინციპთან ხელოვნური ქმნილია აზრის დასაბნელებლად, რომლითაც ტფილისში ოფიციალურად იწყებს თავის სალიტერატურო მოქმედებას კონ.-დემოკრატთა პარტია.

დასავლეთ-საქართველოში

დღევანდელი გურია

(იხ. „ცნ. ფურ." № 3013)

მთელი ღამე რაღაც სულის შემზარავი მაჯლაჯუნა მაწვა გულზე და საზარელი სიზმრები მესიზმრებოდა, თითქო მიწის ძვრა ასტყდა უეცრადაო. საშინელმა გრიგალმა დაჰქროლა. ყველანი სახლებიდან გამოვცვივდით და კლდე-ღრეებში ვეძებდით თავშესაფარს. მე და ჩემი ოჯახი ერთ ვეება განმარტოებულ კლდის ძირს მივეკრუნჩხეთ და გულის ძგერით მოველოდით გრგვინვასა და ღვთის რისხვას. მთელი ბუნება ძრწოდა და კანკალებდა. უეცრად ჩვენი თავშესაფარი, უზარმაზარი კლდეც შეინძრა, საზარელის ჭახანით გაიპო შუაზე და წამოვიდა ჩვენზე თავდასაცემად და გასანადგურებლად.

გულის ფანცქალით გამომეღვიძა. განთიადის შუქი უკვე მკრთალად მოსჩანდა ფანჯრებში. ფიქრები შემოვიკრიბე, გავიხსენე სად, რა მდგომარეობაში ვარ და რა საქმისათვის ვარ წამოსული. ჩემ მიერ ნახული სიზმარი ცხადის ნამდვილი აჩრდილი იყო. ღამიური მღელვარება სიზმარს დაეტყო, სიზმარი თითქო ცხადის განმეორებაა, მხოლოდ უსიცოცხლო ხორცუსხმელი, იგი, როგორც გამოძახილი ცოცხალ ადამიანის ხმის მექანიკური ჩრდილია.

დაუფიქრდი გურიის ამ ორ დარჩენილ „შეურიგებელ" საზოგადოების მდგომარეობას და გამახსენდა ჯართან მყოფ ოფიცრის გამოთქმული სიტყვები: „არსად არ მინახავს ამდენი მაბეზღრობა, ძმისაგან ძმის გაცემა, რამდენიც ახლა თქვენშია; ვისაც ძველი დროიდან, თხუთმეტისა ან ოცის წლიდან მეზობლის მტრობა ჰქონდა ჩამარხული გულში, ახლა დრო იშოვა და დაბეზღებით უნდა დალუპოსო."

რა უნდა მეთქვა ამის საპასუხოდ? მართლაც, დღე არ გაივლის ისე, რომ რამდენიმე კაცი არ დაიჭირონ გურიაში, ამგვარის ღალატით გაცემული. უდანაშაულოდ დამწყვდეულს საპყრობილეში უკრავენ თავს, იბარებენ მოწმეებს იმის საქმის გამოსარკვევად, რასაც საკმაო დრო უნდება, ამასობაში კი დაჭერილი კაცი და ამისი საბრალო ოჯახი იტანჯება სასჯელის მოლოდინში.

ამ ორ საზოგადოების, ბასილეთისა და სურებს, განსაკუთრებით გაჭირებული მდგომარეობაც, რასაკვირველია, ჯაშუშების დასმენის ბრალია. წარუდგინეს პოლკოვნიკ კრილოვს ეს ორი დარჩენილი საზოგადოება როგორც დიდი იარაღის მქონე და ბრძოლის მსურველი. ჯაშუშობის ურცხვობა იქამდის მივიდა, რომ ჩვენი გაზეთი „ცნობის ფურცელიც" დააბეზღეს პოლკოვნიკ კრილოვთან: ამ გაზეთში სწერია ყალბი ხმები თქვენ შესახებაო, თითქო გურიაში თქვენ უკვე თორმეტი კაცი დაგეხვრიტოთო. როცა კრილოვმა ეს ამბავი გადმომცა „ცნობ. ფურც."-ის მიმართ მომდურავის კილოთი, ვუპასუხე, მე თვითონ ამ გაზეთში ვმუშაობ, თვითეულ ნომერს ყურადღებით ვკითხულობ და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მთელი ეს ამბავი განზრახ მოჭორილია მეთქი. შემდეგ კრილოვმა მითხრა, მე გურიაში კაცი არ დამიხვრეტია, მე კი სიკვდილს მემუქრებიან გურულებიო. ამ სიტყვების შემდეგ მან ამოიღო უბის ჯიბიდან და მაჩვენა ქართულად დაწერილი უსახელო წერილი. ვიღაც გურიის ვითომდა კეთილის მყოფელი სწერს თავის ნაცნობს ნიკოს, გურიას დაღუპვა არ აკლდა და ახლა კი ხომ საბოლოოდ აოხრდება, რადგან კრილოვის სიკვდილია გადაწყვეტილიო. მკვლელი, წერილის დამწერის ჩვენებით, პოლიციის გურულ „სტრაჟნიკებს"-დარაჯებს შორის იმალება და ამ დარაჯებს ვიღაც პოლიციაში მსახური „ჩინოვნიკი" მფარველობსო. თვითეული ასო ამ წერილისა ისეთი მრუდე, განზრახ მოკრუნჩხული და საძაგელი სანახავი იყო, როგორც უთუოდ თვით დამწერის რაღაც ფარული და საძაგელი გულის ზრახვა.

ვუთხარი პოლკოვნიკ კრილოვს, „რომ ყველა მართლა ქვეყნისათვის კეთილის მსურველი—პირდაპირი და პატიოსანი ადამიანი, ყოველთვის აშკარად მოქმედებს და უსახელო წერილებს არ მიმართავს. ამ წერილის დამწერს კი ან გურულ „სტრაჟნიკების" მტრობა აქვს და ან თვითონ უნდა „სტრაჟნიკად" შევიდეს და სურს ყველა დაითხოვონ და ადგილი დაუცალონ მეთქი".

„მე მაინც არ მეშინიან გურულებისა და გადაწყვეტილი მაქვს მარტო შემოვიარო მთელი გურიაო", —მიპასუხა კრილოვმა.

„გადაწყვეტილიც რომ გქონდეთ ეს მგზავრობა, გურული ხალხი მაინც არ გაგიშვებს მარტო და თვითონ დაგიცავს მეთქი"—ვუპასუხე: „როგორც იცავდა იგი წინა დროებში გურიაში ჩაყენებულ ეკზეკუციებს—სალდათებს, როგორც იცავდა შარშან სულთან-კრიმ-გირეის, იცავდა ყველა ამათ ხულიგნებისაგან, რომელთაც შეეძლოთ გურიის დასაღუპავად რამე საძაგელი რა ჩაედინათ. მე პირადად გთხოვთ მეთქი, რომ ამ განზრახვაზე ხელი აიღოთ, რადგან გურიას შეწუხება არ აკლია და ეხლაც, გზას რომ გაუდგებით მარტო, ზედ-მეტად შეწუხდება ხალხი, რომ არაფერი შეგემთხვათ და გურია უდანაშაულოდ არ განადგურდეს მეთქი".

კრილოვს გაეცინა და დაჩუმდა.

უსახელო წერილის ფარულმა განზრახვამ მაინც გასჭრა და კრილოვმა დაითხოვა ყველა გურული „სტრაჟნიკი" და აუკრძალა მცხოვრებლებს ქალაქში ნაბდით სიარული, რადგან ნაბდის ქვეშ შეიძლება იარაღი ატარონ სასიკვდილო განზრახვითაო.

გამოვედი სახლიდან აივანზე და გარეშემო მივიხედ-მოვიხედე. ჩვენი მასპინძლის სახლი მთის ფერდობზე იყო წამოსკუპებული და დაბლა ხევში მიჩხრიალებდა პატარა მდინარე. დილის გრილი სიო საამურად ეფინებოდა არე-მარეს.

მალე გამოჩნდნენ ჩემი მასპინძელი და თანამგზავრები. მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ სურებისკენ გამგზავრება. ამასობაში კი, სანამ ჩვენ სურებში საქმეს გავარიგებთ, ბასილეთლები მოილაპარაკებენ თავის საერთო საქმისა და მდგომარეობის შესახებ, ხვალ ჩვენც დავბრუნდებით, კიდევ ერთად მოვილაპარაკებთ და რაიმე აზრს დავადგებით.

ამის შემდეგ ცხენებზე შევჯექით და გავუდექით გზას. მშვენიერი, მზის შუქით განათებული დილა იყო. გრილმა ჰაერმა და მზის გრძნეულმა ძალამ ჩვენ გულს მხნეობა შეჰმატა და ისე ყორნის ფრად აღარ გვეხატებოდა ახლო მომავალი. ცოცხლად მჩქეფარე პატარა მთის მდინარეც გვიღვიძებდა ძალას, ენერგიას და გვაგონებდა პოეტის სიტყვებს „მხნემან ვით ჩქარმა წყარომან განხეთქოს მთა და გორია".

ღრმა მნიშვნელობით სავსეა ადამიანის სიცოცხლის ძირითადი კანონი. ყველაფერი, რაც ადამიანს შეემთხვევა ხოლმე ცხოვრებაში, თითქო განგებ მოწყობილი სკოლაა იმის გონების, გრძნობის და მხნეობის გასაღვიძებლად და გასაწვრთნელად. უბედურება, ყოველნაირი ფათერაკი მხოლოდ მაშინ გეჩვენება ხოლმე სულის შემმუსრავად და აუტანლად, როცა მონაწილეობას არ მიიღებ ადამიანთა უბედურებაში, საქმეში არ გაერევი, შორიდან უცქერი სულის შემზარავ სურათს. ცეცხლისმქრობელს, დარწმუნებული ვარ, ისე საშინლად არ ეჩვენება ალში გახვეული სახლი როგორც ამ ცეცხლის მაყურებელს. იგი მუშაობს, მხნედ მოქმედებს, თვითეული მისი ძარღვი დაჭიმულია სახლის და შიგ მცხოვრებთა გადასარჩენად, კაცთა შორის ძმობას ქრისტიანულ სულიერ მოთხოვნილებას ასრულებს და ეს ამოძრავებული, მხნედ მოქმედი გრძნობა გონებას უღვიძებს ადამიანს, ასწავლის საიდან და როგორ უნდა მოჰკიდოს საქმეს ხელი, როგორ უნდა უშველოს თავის მოძმეს მძიმე გაჭირვებაში. ამიტომაც უბედურება იმის ასაცილებლად მომქმედ ადამიანს თავის დღეში არ ეჩვენება უსაშველოდ და აუტანელად.

გამახსენდა სახელგანთქმულ ამერიკელ ფილოსოფოსის ჰენრი თოროს საგულისხმიერო სიტყვები: „თუ ადამიანი ისე გასწვრთნის თავის თავს, რომ მხნედ დაუხვდება მაზე მივლენილ უდიდეს ფათერაკს, იმ წამსვე იგრძნობს, რომ ეს ფათერაკი ისე აუტანელი არა ყოფილა, როგორც წინდაწინ ეჩვენებოდა. თუ კი ადამიანი შედრკება, გაქცევას დააპირებს, თავის საქმეზე ხელს აიღებს, მაშინ მცირე რაიმე დაბრკოლება, პაწია ტვირთიც დიდად ეჩვენება, წელში მოსტეხს და საბოლოოდ დაჩაგრავს".

გუშინდელ ჩვენ უიმედობისა დღეს უკვე გვრცხვენოდა, უკვე გვჯეროდა, რომ „ცუდა ბედის მენახევრე" და მხნედ მივაჩქარებდით ცხენებს სურების მთებისაკენ.

ი. ნაკაშიძე

იმერეთი (კიდევ ცეცხლი და მახვილი). ის ტანჯვა-ვაება და ზარალი, რომელიც შორაპნის მაზრას მიაყენა საომარმა წესმა, როგორცა სჩანს, საკმაოდ არ მიაჩნიათ და კიდევ აწამებენ ამ ბედ-კრულ მხარეს ჩვენის ქვეყნისას. ორად-ორი საათი დავყავ შორაპნის მაზრის დედა-ქალაქ ზესტაფონში და იმდენი გულ-შემზარავი ამბავი გავიგე, რომ კაცმა არ იცის, რა იფიქროს—გულქვაობაა ეს თუ წინადვე განზრახული აზრი დედა-მიწასთან გაასწორონ ხალხი. რათა ჩემი ნათქვამი გადამეტებული არ გეგონოთ, ფაქტებს მოგახსენებთ:

ს. სანახშირეს მცხოვრებლს მშვენიერაძეს სიმთვრალეში შეუფერებელი სიტყვები უკადრებია სამხედრო საკრებულოსთვის იმ დროს, როცა ჯარის-კაცები კენჭს ილებდნენ. არ იცის კაცმა ნამდვილად ამის გამო თუ სხვა მიზეზით ხსენებულ მშვენიერაძეს რამდენიმე ყაზახი და პოლიციის დარაჯი გაჰყოლია თან და იმავე ღამეს ს. სანახშირეში, რომელიც ოთხი ვერსის მანძილზეა ზესტაფონიდან, ორი სახლი გადაბუგულა, ერთი ხსენებულ მშვენიერაძისა, ხოლო მეორე იმის ძმისა. სოფელ ფუთში 19 ამ თვეს ადგილობრივ მცხოვრებს ალექსი თითბერიძეს ეწვივნენ ჯარის-კაცები და მთლად გაანადგურეს მისი სახლი: რათაო, იკითხავთ უთუოდ. პირდაპირ პასუხს ვერც მე მოგცემთ და ხალხში-კი ლაპარაკობენ, რომ მიზეზი განადგურებისა თითბერიძის შვილები არიან, რომელთაც რაღაც ბრალი ედებათ და ვერსად უპოვნიათო. ამნაირივე საქმე დაემართა ვ. ჩხეიძეს, რომელიც დაატუსაღეს.

ს. დილიკაური თავის წყნარის ცხოვრებით ამაყობდა 20 თებერვლამდის. ამ დღეს სოფელში გაჩნდა ოციოდე ჯარის კაცი აფიცრის მეთაურობით, რამდენიმე კაცი დაატუსაღეს და გაგზავნეს ზესტაფონში და ღამე აქვე გაათიეს. რა მოხდა სოფელში, ძნელი აღსაწერია—სალდათების გამოჩენა სოფელში და სოფლის დაწიოკება ერთი იყო. ნახევარ სოფელზე მეტი, განსაკუთრებით ქალები ან ბავშვებით გაიხიზნენ და ვინც რა მოასწრო, ის წაიღო. ჯერ ვახშმობა გადასული არ იყო, რომ სოფელში ცეცხლი გაჩნდა; პატარა ხანს უკან ცეცხლმა მთელი სოფელი გაანათა—დაიწვა შვიდი მოსახლე—ცერცვაძე, სვიანაძე, და საცერაძე. ამავე ღამეს ჯარის კაცებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ადგილობრივი გლეხი ლომიაძე.

დილიკაურიდან ჯარი ს. თერჯოლაში გადავიდა. აქაც რამდენიმე კაცი დაატუსაღეს; დასწვეს სარდანაძის, რობაქიძის და ენუქიძის სახლები. ამავე სოფელ თერჯოლაში 24 თებერვალს ორმა ყაზახმა გამოატარა ს. ალისუბნის სკოლის მასწავლებელი, რომელიც დატუსაღების დროს საშინლად ეცემნათ და მერე ცხენოსან ყაზახებს ფეხით წამოეყვანათ. უნდა გეყურებინათ თურმე, რა ძუნძულით მოჰყავდათ უბედური მასწავლებელი ცხენოსან ყაზახებსა. თუ გაიღლავდა და ჩამორჩებოდა თავის მტარვალებს, მათრახი მზად იყო და ამის ასაცილებლად, რაც კი ძალა შესწევდა, თავს არ იზოგავდა.

იგივე რაზმი და ერთი სოტნა ყაზახი რამდენიმე დღის შემდეგ ეწვივნენ ს. საზანოს, რომლის მცხოვრებლებს მაშინვე შვიდი კაცის გაცემა მოსთხოვეს. ამავე დღეს დასწვეს ნებურიძის სახლი; უწყალოდ სცემეს ნასარიძეს და რა მოელის შემდეგ, ის ღმერთმა იცის. ჯარი დაბინავდა ადგილობრივ მცხოვრებ ქავთარაძესთან.

მკითხველს უთუოდ ახსოვს, რომ იანვრის დამლევს თავს დაესხნენ იგორ მდივანს რომელიც ამის შემდეგ ქუთაისში გადასახლდა. ეხლა, როგორც საზანოელმა კაცმა გვითხრა, იგორ მდივნის სახლობის შენახვის ხარჯი სოფელს გაეწერეს. ამავე სოფელ საზანოს ბრალსა სდებენ, რომ მილიციონერებსა და აგიტატორებს ინახავთო, და ამისთვისაც 1000 მანეთი ჯარიმა შეუწერიათ და ეს ფული 1 მარტამდის ხაზინაში უნდა შეიტანოთო. „არ ვიცით, ბატონო, რა ვქნათ,—მითხრა ერთმა საზანოელმა გლეხმა,—სულით-ხორცით გავტყავდით, მორჩილება განვაცხადეთ და კიდევაც დავამტკიცეთ იმით, რომ რაც მოგვთხოვეს, ყოველივე შევასრულეთ. და მაინც არ გვეშველა. უბედურებას და ვაებას თუ ემატება რამე, თორემ არაფერი აკლდება. თუ ასე იქნა, ან წყალში უნდა გადავცვივდეთ ან და ჩვენი ხელით დავიჭრათ ყელი. იმედი რომ გვქონდეს რამე, კარგი დაგვემართოს, მაგრამ არსაიდან სჩანს არსად, ნუ თუ ასე უპატრონოდ უნდა ვიყოთ და საშველი ხელი არავინ უნდა გამოგვიწოდოსო."

სანუგეშო რომ ვერაფერი ვუთხარი, ჩემმა მოსაუბრემ სასოწარკვეთილად გაათავა: „ღმერთმაც მიგვატოვა და კაცმაც!"

(შემდეგი იქნება) **მოგზაური.**

ახალი ამბავი

◆ **გენერალ ალიხანოვ-ავარსკის შესახებ.** ტფილისში გავრცელებული ხმა, რომელიც გუშინ აღვნიშნეთ, ვითომ გენერალ ალიხანოვ-ავარსკის გადაყენებას უპირებდნენ, როგორც გადმოგვცეს, სიმართლეს მოკლებული აღმოჩნდა. გენერალი ალიხანოვი გუშინ უკვე დაბრუნდა ქუთაისს და იქიდან გაემგზავრება ქვემო იმერეთს და გურია-სამეგრელოში.

◆ **პენსიები.** ნამესტნიკმა ბრძანება გასცა ჯარში, რომ იმ სამხედრო კაცთა სახლობებს, რომელნიც არეულობის დროს მოკლულ იქნებიან, ნება მიეცეთ ისარგებლონ საიმერიტურო კასიდან პენსიით ისე, როგორც გარეშე მტერთან ბრძოლის დროს მოკლულთა ოჯახები სარგებლობენ.

◆ **დაპატიმრებულთა განთავისუფლება.** განთავისუფლეს რკინის გზის მოსამსახურენი: განჯის საპყრობილედან—ემილიან დემენკო, ნიკოლოზ პოდპრიდოვი, დავით იმერლიშვილი, მიტროფანე უშვერიძე, იოსებ კონჩუხიძე, ნიკიფორე ცქიტიშვილი, ასლან ყენია, პანტელეიმონ ვადაჭკორია, სიმონ ლორია; ალექსანდროპოლის ციხიდან—ანასტასია პავლეს ასული პაპავა, გიორგი ერაძე, ვასილი კუკელნი, ვასილ გორბაჩოვი; ყარსის ციხიდან— იასონ ქელიძე, უფლისა გურასაშვილი და პროკოფი კახიანი.

◆ **გადასახლება.** ამ ჟამად, როგორც მკითხველებმა იციან, ქუთაისის საპატიმროში, სხვათა შორის, სხედან ქართველი ბელეტრისტი იასონ ნიკოლაშვილი და ექიმი დონდაროვი. ამათ, როგორც გავიგეთ, რუსეთის შორეულს ადგილებში უპირებენ გადასახლებას.

◆ **გაზეთების კითხვის აკრძალვა.** როგორც დასავლეთ საქართველოდან ჩამოსულებმა გადმოგვცეს, რკინის გზის სადგურებზე ქართულ და რუსულ გამოცემათა გაყიდვას უშლიან თურმე. ჩვენს დროში ეს აღარ არის გასაკვირველი.

◆ **ახალი უფროსი სამოსწავლო ოლქისა.** თავ. კონს. მოსეს-ძე არღუთინსკი-დოლგორუკი, რომელიც კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსად დაინიშნა, ტფილისელი სომეხია. სწავლა გაათავა ტფ. პირველ გიმნაზიაში და შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში. მსახურებდა საგანგებო საქმეთა მოხელედ ოდესის გენერალ-გუბერნატორთან, შემდეგ დაინიშნა ტაშკენტის რეალურ სასწავლებლის დირექტორად. იქიდან გადაიყვანეს ნოვგოროდის რეალურ სასწავლებელში და ბოლოს, 1903 წელს, ვარშავის რეალურ სასწავლებელში. თავ. არღუთინსკი 52 წლის კაცია.

◆ **არჩევნების დაჩქარება.** ნამესტნიკმა ოფიციალურად მიმართა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს, დააჩქარონ მზადება სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატების ამოსარჩევად.

◆ **ახალი ქართული პარტია.** როგორც „ვოზრ."-ს გაუგონია, ტფილისში არსდება ახალი ქართული ლეგალური პარტია. ახალი პარტიის მეთაურებად არიან თავ. ილია

ფელეტონი

სოციალდემოკრატია და მუშათა მოძრაობა

თავი პირველი

საფრანგეთის სოციალდემოკრატია

III

შემდეგი *)

მეორემ, უფრო გამოჩენილმა წარმომადგენელმა საფრანგეთის სოციალდემოკრატიისამ, ჟიულ გედმა კიდევ უფრო საინტერესო გზა განვლო, სანამ იმად გახდებოდა, რაც დღეს არის. გედი ყველასაგან აღიარებულია პარტიის შემქნელად და მოთავედ. თვით სახელი ფრანგ-მარქსისტებისა—გედისტები—იმის სახელისაგან არის წარმომდგარი. ჟიულ გედი ოდესღაც ანარქისტი იყო. საკვირველია, როცა კაცი საერთაშორისო სოციალდემოკრატიულ მოძრაობას გადაავლებს თვალს, ცვიფრდება: ამ მოძრაობის მეთაურთა შორის უმრავლესობას ანარქიზმის რენეგატები შეადგენენ: გედი, მეთაური საფრანგეთის მარქსისტებისა, ანარქისტი იყო, ანარქისტივე იყო პ. იგლეზიას—მეთაური ესპანიის სოციალდემოკრატიულ მოძრაობისა, პ. ბრუსი—თავმჯდომარე პარიზის მუნიციპალიტეტისა, ვან-კოლი—ჰოლანდიის სოციალდემოკრატიის მეთაური, ანდრეა კოსტა—იტალიის და სხვა. რაც შეეხება სრულიად რუსეთის, პოლონეთის, ფინლიანდიის და სხვათა სოციალდემოკრატიულ მოძრაობის მამამთავარს გ. ვ. პლეხანოვს, ისიც ხომ ბაკუნისტი იყო. საკმაო ანარქისტმა თავისი რწმენა უარ-ჰყოს და იგი სოციალდემოკრატიის მეთაურად ხდება. რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ეს სოციალდემოკრატიის გონებრივ სისუსტის მაჩვენებელი არ არის? ყველა ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ სოციალდემოკრატთა მეთაურნიც გამხდარან ხანდახან ანარქისტებად, მაგალითად დ. ნიევენგიისი—დამხმარებელი და მოთავე ჰოლანდიის სოციალისტურ პარტიისა, იოჰანე მოსტი—ავსტრიელი სოციალისტი და სხვანი, მაგრამ ისინი ანარქისტულ მოძრაობის მეთაურებად კი არა, რევოლიუციის უბრალო სალდათებად გახდნენ. განა ეს ფაქტი ყურადღების ღირსი არ არის?

რაც შეეხება კერძოდ ჟ. გედს, მან თავისი მოღვაწეობა ინტერნაციონალის დროს დაიწყო და როცა საერთო საბჭომ (генеральный совѣтъ) დიქტატორული ლტოლვილება გამოიჩინა, იგი ბაკუნისტებთან ერთად წინააღუდგა მარქსისტების ამგვარ არა შესაფერ მოქმედებას. საერთო საბჭოს ასეთ ყოფა-ქცევის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად სონვილიეში (შვეიცარია) 1871 წ. მოხდარმა სხდომამ რეზოლიუცია შეიმუშავა და დაურიგა ინტერნაციონალის ყველა სექციას (განყოფილებებს). ამ რეზოლიუციაზე, სხვათა შორის, გედმაც მოაწერა ხელი. მას დიდი მნიშვნელობა აქვს გედის პირვანდელ აზრების დასახასიათებლად და თან ის ეხლა ერთობ იშვიათ ბიბლიოგრაფიულ განძს წარმოადგენს. ამისათვის მოგვყავს აქ მისი დასკვნა:

„ჩვენ ბრალს არა ვდებთ საერთო საბჭოს,—ნათქვამია რეზოლიუციაში,—ვითომ მას ცუდი რამ განზრახვა ჰქონდეს; არა, მისი წევრები მსხვერპლნი არიან ფატალურ საჭიროებისა, მათ სრულიად გულ-წმინდათ სურდათ თავიანთ დოქტრინის გასამარჯვებლად ავტორიტეტის პრინციპი შეეტანათ ინტერნაციონალში. გარემოებამაც ხელი შეუწყო მათ. ჩვენ სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია ის, რომ ეს მოძღვრება,*) რომლის იდეალიც მუშების მიერ პოლიტიკურ ძალის ხელში ჩაგდებაა, იქამდის მივიდა, უკანასკნელ ამბების ზედგავლენით, რომ იფიქრა—ინტერნაციონალმა თავისი პირველყოფილი ორგანიზაცია უნდა შესცვალოს და იერარქიულ ორგანიზაციად გადიქცეს, რომ იგი რომელიმე კომიტეტმა უნდა განაგოს და ჰმართოსო. ასე გვესმის და ვხსნით ამ ტენდენციას, მაგრამ ამასთანავე საჭიროდ მიგვაჩნია იმის წინააღმდეგ ბრძოლა, სწორედ იმ სოციალურ რევოლიუციის სახელით, რომლის პროგრამმაა: განთავისუფლება მუშათა უნდა მოხდეს თვით მუშათა კლასის მიერ. ეს მუშათა კლასი უნდა იდგეს ყოველ მმართველ, თუნდ მუშებისგანვე არჩეულ, ავტორიტეტს გარეშე.*)

ჩვენ ვთხოულობთ, რომ დაცულ იქნას ინტერნაციონალში ის ავტონომიის პრინციპი, რომელიც შეადგენდა საძირკველს ჩვენის კავშირისას (ასოციაციისა); ჩვენ ვთხოულობთ: საერთო საბჭო, რომლის მანდატის მნიშვნელობა დამახინჯებულ იქმნა, ისევ შევიდეს თავის ნორმალურ როლში, ე. ი. გახდეს უბრალო სტატისტიკისა და მიწერ-მოწერის ბიუროდ. ის ერთობა, რომლის განხორციელებას სხვანი ფიქრობენ ცენტრალიზაციისა და დიქტატურის მეოხებით, ჩვენ გვსურს განვახორციელოთ ავტონომიურ ჯგუფთა თავისუფალ ფედერაციით.

„მომავალი საზოგადოების ფორმა უნდა იქმნეს იმის განსაზოგადოება, რასაც ეხლა აირჩევს ინტერნაციონალი თავის ორგანიზაციულ ფორმად. ამისათვის უნდა ვცდილობდეთ, ჩვენი ორგანიზაცია რაც შეიძლება უფრო ჰგავდეს ჩვენს იდეალს. განა შესაძლებელია თავისუფლებასა და ერთობაზე დამყარებული საზოგადოება იშვას ისეთ ორგანიზაციისაგან, რომლის საძირკველი ავტორიტეტია? არა, ეს არ შეიძლება. ინტერნაციონალი მომავალ კაცობრიობის ჩასახულებაა და ამისთვის იგი ეხლავე უნდა გადაიქცეს ჩვენის თავისუფლებისა და ფედერაციის პრინციპების გამომსახველად, უნდა განაძევოს მან თავის მიდამოდან ყოველი პრინციპი, რომელიც დიქტატურისა და ავტორიტეტისადმი მიისწრაფვის".

მკითხველსა ვთხოვთ ყურადღება მიაქციოს ამ წმინდა ფედერატიულ ორგანიზაციულ პრინციპს, ის კიდევ შეგვხვდება, როცა მუშათა მოძრაობაზე გვექნება ლაპარაკი. ასეთი იყო ის ორგანიზაციული პრინციპი, რომელსაც ბაკუნისტებთან (დღევანდელ ანარქისტებთან) ერთად იცავდა გედი, ხოლო შემდეგში მან უღალატა ამ თავის მიერ აღიარებულ აზრს და რა გგონიათ?—იგი სხვას ეძახის „დეზორგანიზატორს". გასაკვირველიც არ არის. გედმა „იერუსალიმის გზა" იპოვა და ეხლა თვითვე ქებათა ქების ჰიმნებს უგალობებს იმავე დიქტატურას, ავტორიტეტს და, ასე გასინჯეთ, თვით რექვიზიციასაც-კი*)

გადავიდეთ ეხლა მეორე კითხვაზე, განვიხილოთ რა აზრისა იყო გედი სახელმწიფოზე. ამ კითხვის გამოსარკვევად უფრო მერმინდელი დოკუმენტი შეგვიძლიან ავიღოთ. სამოცდა ათიან წლების დამლევს (1878 წ.) გედმა დასწერა წიგნაკი, რომელსაც „სოციალისტის კატეხიზმა" (Catechisme Socialiste) დაარქვა და რომლის მეცხრე თავიც მთლიანად სახელმწიფოზე თავის შეხედულებების გამორკვევას. მომყავს თავი, როგორც საინტერესო დოკუმენტი თითქმის სრულად:

„**კითხვა.** რა არის სახელმწიფო?

პასუხი. სახელმწიფო ორგანოა კანონისა, რომლის უმთავრესი და ძირითადი როლიც არის ის, რომ სოციალურ ორგანიზმის წევრთა შორის დაამყაროს მუდმივი ურთიერთობა და, მაშასადამე, საზოგადოებაში წესიერების დაცვა.

კითხვა. როგორ ასრულებს სახელმწიფო თავის დანიშნულებას და ვინა ჰქნის კანონს?

პასუხი. თეოკრატიულ და მონარქიულ სახელმწიფოში ერთი კაცი სასულიერო წოდებისა ან მეფე, რომლის ნება სურვილი შემოუფარგლელია; ოლიგარქიულ ან არისტოკრატიულ სახელმწიფოში აგრეთვე შეუზღუდველი უმცირესობა; დემოკრატიულ სახელმწიფოშიც ასეა: უმცირესობა ჰქნის კანონს, თუმცა იგულისხმება, რომ კანონი ყველას ნებით უნდა იყოს შექმნილი. ყველა ქვეყანაში, სადაც კი არსებობს ეგრედ წოდებული საერთო ამომრჩევლობა, კანონი იქნება მხოლოდ განსაზღვრულ ხნის მამაკაცთა ხმის უმეტესობით, ან რომ მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობის ნება იმარჯვებს კანონის სახით.

კითხვა. აქედან გამოდის, რომ უდემოკრატიულეს სახელმწიფოშიაც კანონი შექმნილია მცირე ჯგუფისაგან, რომლის ნების გამომხატველადაც რჩება, არა?

პასუხი. დიახ. და ამას გარდა ის ურთიერთობა, რომელსაც ამყარებს მცირე ჯგუფი, არის აუცილებლად ამავე ჯგუფის ინტერესების სასარგებლოდ და სხვისი საზარალო ურთიერთობა.

კითხვა. არ შეიძლება სხვა გვარად მოეწყოს საქმე? არ შეიძლება შეკეთდეს კანონის შემქნელი ორგანო ანუ სახელმწიფო ისე, რომ კანონი იყოს ყველას სურვილის გამოხატულება და ყველას ინტერესების დამცველი?

პასუხი. არა. თუნდ წარმოვიდგინოთ, რომ ამომრჩეველთა უფლება გაფართოებულ იქნას, ყველა, სქესის განურჩევლად, იღებდეს კენჭის ყრაში მონაწილეობას რაც შესაძლებელი არ არის—წარმოვიდგინოთ კიდევ, რომ ყველა წევრნი სოციალურ ორგანიზმისა უკლებლივ იღებენ მონაწილეობას იმ წესების დამყარებაში, რომელმაც უნდა განაგოს მათი ურთიერთობა; ამ შემთხვევაშიც შექმნილი კანონი იქნება გამოხატულება უმრავლესობის ნება-სურვილისა და დაიცავს მხოლოდ უმრავლესობის ინტერესებს.

კითხვა. მაშასადამე, სახელმწიფო, რაც ფორმა უნდა ჰქონდეს, ვითარცა კანონმდებელი ორგანო, სჩაგრავს ერთ ნაწილს სოციალურ ორგანიზმისას?

პასუხი. დიახ, თუ ყველა კანონი, რომლის მიცემაც შეუძლია სახელმწიფოს, ავიწროებს ან უმცირესობას ან უმრავლესობას. . . . .

ნორმალური ფუნქცია სახელმწიფოსი იმაში მდგომარეობდა, რომ გამოეცა კანონები და ურთიერთობა სოციალურ ორგანიზმის წევრთა შორის სისწორით წაეყვანა, მაგრამ ყველგან ამ ორ ფუნქციას სახელმწიფომ მიუმატა მესამე. ყველგან მან თითონვე დაიწყო კანონის სისრულეში მოყვანაც. ყველგან და ყოველთვის კანონმდებლობითი ორგანო აგრეთვე აღმასრულებელ ორგანოდ გადაქცეულა ადმინისტრაციის, მაგისტრატურის, პოლიციისა, ჯარისა და სხვათა სახით. სახელმწიფოს ამ ახალ ფუნქციას ისე დაუწყეს ცქერა, ვითომ ის იყოს

---

*) იხ. „ცნ. ფურ." № 3012.

*) მარქსისტების მოძღვრებაზეა ლაპარაკი. გ. თ.

*) Memoire de la federation gurassienne

*) რექვიზიციის შესახებ იხილე მისი პარლამენტარულ სიტყვა თა კრებული: quatre ans delitte, des classe. სიტყვა Solution Collectiviste.

ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი.

◆ **სამარხი კასსა.** დღეიდან ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის კონტორასთან დაიწყებს მოქმედებას სამარხი კასსა, რომელიც მოხელეებმა დააარსეს. წევრებად შეუძლიანთ იყვნენ როგორც მოხელენი, ისე ფოსტალიონები და მათი ცოლ-შვილი, წევრის სიკვდილის დროს მოხელენი იხდიან მანეთს, ხოლო ფოსტალიონები და მათი ცოლ-შვილი—ათ-ათ შაურს.

◆ **ტფ. სათ.-აზნაურო ბანკის მსესხებელთა რწმუნებულნი.** 26 თებერვალს მოხდა არჩევნები რწმუნებულებისა ტფ. სათ.-აზნაურო ბანკის მსესხებელთაგან. კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ: დ. ა. სუმბათაშვილი, თავ. ნ. ბ. ერისთავი, ი. ი. წინამძღვრიშვილი, ი. ე. ზუბალაშვილი, დ. ზ. სარაჯიშვილი, თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, თავ. ა. რ. წერეთელი, თავ. ვ. ს. მიქელაძე, მ. ვ. მაჩაბელი, თავ. ნ. ი. აბაშიძე, თავ. ი. ა. ბარათაშვილი, მ. ა. გედევანიშვილი, ა. ნ. ფურცელაძე, თავ. კ. დ. ერისთავი, ქ. ი. მამაცაშვილი, თავ. მ. ა. გრუზინსკი, ა. ფ. ფრიდონოვი, ვ. გ. ბერელაშვილი, ი. ი. ფურცელაძე, ზ. ი. მამაცაშვილი, ნ. ზ. ცხვეთაძე, თავ. კ. ზ. მაყაშვილი, თავ. ა. ნ. დიასამიძე, მ. პ. ისარლიშვილი, თავ. ლ. ლ. ჩერქეზიშვილი, მ. ლ. მჭედლიშვილი, დ. ი. რატიშვილი, კ. დ. ყიფიანი, გ. ბ. საყვარელიძე, ნ. თ. ხიზანაშვილი, თავ. ნ. ა. თუმანიშვილი, თავ. გ. ნ. დიასამიძე და თავ. ი. მ. სუმბათაშვილი. კანდიდატებად: თავ. მ. ნ. ვეზირიშვილი, ი. პ. ისარლიშვილი, ს. ი. ფირაქიშვილი, თავ. მ. ა. წერეთელი და ვ. მ. მანსვეტიშვილი.

◆ **რევიზორის ჩამოსვლა.** ტფილისში ჩამოვიდა გადასახადთა დეპარტამენტის რევიზორი დ. ს. ს. კირეევსკი, რომელმაც რევიზია უნდა უყოს სახაზინო პალატას და გადასახადის ამკრებ ინსპექტორებს.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ წარსულს წელს 23 დეკემბერს ცეცხლი წაუკიდეს წურინოვის სახლს თონეთის ქუჩაზე. მდგმურების ქონება ამ სახლში მთლად განადგურდა, რის გამო მდგმურები ძალიან გაჭირვებაშა ჩავარდნენ. სხვათა შორის, დაზარალდა ამავე სახლში მცხოვრები უარამან ჭანტურია.

◆ ყარსის ოლქში ძალზე მძინვარებს თურმე ხუნაგი. რამდენიმე კაცი გარდაიცვალა.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნაკი: „დამფუძნებელი კრება და საარჩევნო უფლება," გორგასლიძისა, გამოცემა „სხივის" ამხანაგობისა, ფასი ორი შაური.

◆ გუშინ მე-5 საპოლიციო უბანში შეიპყრეს მძიმედ დაჭრილი კაცი, რომელმაც თავი სოფ. რაიდაბატის მცხოვრებად თომას ტუმასოვად აღიარა. როცა იგი პოლიციაში წაიყვანეს, მან თათრებს გადააბრალა თავის დაჭრის საქმე: ორი თათარი მომკარდა მე—6—ე საპოლიციო უბანში და დამჭრაო. საკვირველია, მე—6—უბანში დასჭრეს და მე—5—ე უბანში კი მივიდა უვნებლივ.

◆ 27 თებერვალს მადათოვის კუნძულზე შემდეგი ამბავი მოხდა: ტფ. ქალაქის გამგეობის ბუხჰალტერი ა. ს. პეტროსიანცი 5 საათზე აკოფჯანოვის მაღაზიაში ყოფილა. აქედან პეტროსიანცი გამოსულა და ჩქარა მიმავალ ელექტრონის ვაგონზე შემხტარა, მაგრამ ფეხი ვერ მაუმაგრებია, ვაგონიდან გადმოვარდნილა და ზედ ლიანდაგზე დაცემულა. ამ დროს გამოსულა მეორე ვაგონს ზედ გადაუვლია პეტროსიანცისათვის და ორივე ფეხი და ერთი ხელი მოუწყვეტია. ხელ-ფეხ მოწყვეტილი კაცი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს, მაგრამ დაშავებულმა მხოლოდ 28 თებერვლის დილის 5 საათამდე იცოცხლა. პეტროსიანცს დარჩა წვრილი ცოლ-შვილი. პეტროსიანი გამგეობის ერთი მშვიდი და საქმიანი მოხელე იყო.

◆ 27 თებერვალს ღამე „ნემეცების" ბაღში სასტუმროს ცეცხლი გაუჩნდა. სახლი ნახევრად დაიწვა.

◆ გუშინ, 28 თებერვალს, ავჭალის ქუჩაზე შემდეგი ამბავი მოხდა: ყორღანოვისეულ ტრამვაის პარკის პირდაპირ ცხოვრობს ტრამვაის მოძრაობის უფროსი მღებროვი. მღებროვი ადრე დილით სახლიდან გამოსულა. ამ დროს ვიღაც უცნობი წამოსწევია და რევოლვერი უსროლია. ტყვია მარცხენა ფერდში მოხვედრია. მღებროვი იქვე წაქცეულა, ხოლო უცნობი დამალულა. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

ქუთაისის ამბები

◆ 24 თებერვალს ქალაქის საამშენებლო და სასავადმყოფო კომისიების შეერთებულ სხდომაზე საბოლოოდ გადაწყდა, რომ ქალაქის საავადმყოფო აშენებულ იქმნეს სალდათის აგარაკში, ბაღდადის გზატკეცილის გვერდით. საავადმყოფოს აშენება იჯარით გაიცემა. საავადმყოფოს ასაშენებლად გადადებულია 50,000 მანეთი. საავადმყოფოს აშენების თვალ-ყურის გდება დაევალა დ. ა. ნაზაროვს.

◆ ქალაქის გამგეობის სახელზე კიდევ ბევრი განცხადება შედის იმათგან, რომელთა მაღაზიები ან ცეცხლით გაუნადგურებიათ ან გაუტეხიათ და გაუძარცვავთ. ამათგან სიმონ ქეიშვილის მაღაზიიდან ყაზახებსა და სალდათებს, მაღაზიის პატრონის სიტყვით, გაუტაციათ 38,404 მანეთის ფართალი; ა. ეზიკოვის მაღაზიიდან—16,000 მანეთის საქონელი; ი. მამაჯანოვის მაღაზიიდან—5,300 მანეთის საქონელი; ს. გვილავას მაღაზიიდან—4,000 მ. საქონელი; კ. ჩხავას სავაჭროდან 4,000 მანეთის; სისია სანიკიძის საკონდიტერო, ღირებული 20,000 მ., მთლად გადაიბუგა ცეცხლისაგან; ნ. რეფაელოვის ორს მაღაზიაში ცეცხლისაგან განადგურებულა და აგრეთვე გაუტაციათ 32,000 მანეთის საქონელი; რ. ფილიპოვის მაღაზიაში დამწვარა 10,000 მანეთის საქონელი; ფ. კაცაძის სავაჭროდან გაუტანიათ 7,000 მანეთის საქონელი; კ. ადანიაის და ი. კარტოზიას სასულების სავაჭროში ცეცხლისაგან განადგურებულია 8,000 მანეთის საქონელი.

◆ 25 თებერვლის საგანგებო სხდომაზე ქალაქის საბჭო შეუდგა სამზადისს სახელმწიფო სათათბიროს წევრთა ასარჩევად. ერთი თვის განმავლობაში უნდა შედგენილ იქმნეს საარჩევნო სიები. ამისათვის ქალაქი გაიყოფა სამ საარჩევნო ნაწილად. სიების შესადგენად ყოველ ნაწილში არჩეულ იქმნა კომისია. კომისიაში ირიცხება სამი წევრი-ხმოსანი. ცენტრალურ საარჩევნო ნაწილში კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: კ. ნ. ჩიკვაიძე (თავმჯდომარე), ი. პ. კოკოჩაშვილი და ნ. მ. ჯანელიძე; მთიანს ნაწილში: ს. ნ. ლორთქიფანიძე (თავმჯდომარე), დ. ა. ნაზაროვი და ს. ნ. დათეშიძე; წყალ-გაღმა ნაწილში: ა. ს. საყვარელიძე (თავმჯდომარე), ი. ა. მიქელაძე და ფ. ა. რილიგიონი. კომისიის განკარგულებაში იქნებიან ქალაქის აგენტები; გარდა ამისა, ისინი საჭიროების მიხედვით დაიქირავებენ კერძო პირთ. სხვა და სხვა ხარჯის დასაფარავად საბჭომ გადასდო ქალაქის საშუალებიდან კომისიების განკარგულებაში 600 მანეთი. გარდა ამისა, რადგან საარჩევნო სიების შედგენას ბევრი შრომა სჭირდება, დრო კი ძლიერ ცოტაა დანიშნული, ასე რომ თუ კომისიის წევრებმა დამ-ღამობითაც არ იმუშავეს, სიების შედგენას ვერ მოასწრებენ,—ამისათვის საბჭომ აუცილებელ საჭიროებად დაინახა ხელმეორედ აღძრას შუამდგომლობა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის წინაშე, რომ გაუქმებულ იქმნეს სავალდებულო დადგენილების ის მუხლი, რომლის ძალითაც შებინდების შემდეგ ქუჩებში გავლა აკრძალულია.

ქალაქის საქმეები

27 თებერვალი.

ეტყობა, ქალაქის ხმოსნებზედ გაზეთებმა იმოქმედეს: „მამები" თავის დროზე შეიკრიბნენ.

კრებამ პირველად რამდენიმე უმნიშვნელო საქმე განიხილა სხვა და სხვა მოსამსახურეთათვის პენსიების დანიშვნის შესახებ. მხიარული ლაპარაკი გამოიწვია ქალების სავლიუკოვის და გებგარდის თხოვნებმა. ქალაქის გამგეობას ჰყოლია არხივარიუსად კაპინოვი; ეს კაპინოვი შარშან გარდაცვლილა. ზემო ხსენებულს გებგარდის ქალს თხოვნა შეუტანია გამგეობაში: მე ვინახავდი კაპინოვს, მე და დავასაფლავე დასასაფლავებელი ფული მომეციო. ქალაქის გამგეობას, საბჭოს თანხმობით, მიუცია ქალისათვის 350 მან. ამის შემდეგ ამავე გებგარდის ქალმა და აგრეთვე ზემოხსენებულმა სავლიუკოვის ქალმაც შეიტანეს თხოვნა. ქალები სწერენ: ჩვენ კაპინოვზედ დიდი ამაგი გვქონდაო და უთუოდ უნდა მოგვცეთ ყოველ წლიური პენსიებიო, რადგან არც სხვა მემკვიდრე ჰყავს კაპინოვს, ჩვენს მეტიო. რაში ენაღვლებათ ამათ ქალაქის ფული. ორიოდე ხმოსანმა სთქვა, იქნება მაგისთანა ერთგული ქალები თორმეტიც გამოუჩნდეს კაპინოვს. და ნუ თუ ყველას უნდა მივცეთ პენსიაო. ამან მოთმინებიდან გამოიყვანა ექიმი ვართანიანი, რომელმაცა სთქვა: არ შეჰფერის საბჭოს მაგისთანა დაცინვის კილოთი ლაპარაკი გასვენებულზე, რომელსაც მემკვიდრე არ დარჩაო. კრებამ გადასწყვიტა, მიეცეს კაპინოვის „მემკვიდრეებს" 200 მან. გულუხვობაც ასეთი უნდა, არა, მკითხველო! სამაგიეროდ საბჭომ არ შეიწყნარა ისეთ კაცის შრომა, რომელიც თვითმართველობაში მსახურებდა. მიხეილ კლიმიაშვილს, რომელმაც სამსახურს თავი გაანება, ქალაქმა მისცა 170 მან., შემდეგ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა მიეცეს 325 მან. დასახმარებლად. კლიმიაშვილი თხოულობდა, მოცემულს 170 მან. ნუ გამომირიცხავთო. საბჭომ ეს თხოვნა არ შეიწყნარა.

წაიკითხეს ივანე და დავით ჩერქეზიშვილების თხოვნა. ესენი სწერენ: დოკუმენტი გადაგვიკეთეთ, თორემ ამ დოკუმენტში, ქალაქის პირობებში, იმდენი ხრიკია, რომ ჩვენი მამულები ვერ დაგვიგირავებიაო. ხმოსანმა ბაბოვმა გამოაცხადა, რომ ამ საქმის განხილვა არ შეიძლება, თუ 40 ხმოსანი არ შეიკრიბებაო. ამაზე ხატისოვმა სთქვა: შვიდი თვეა ამ ჩერქეზიშვილებს ვაწვალებთ. რა ჰქნან საწყლებმა, მათი რა ბრალია, რომ ჩვენ ორმოცი ხმოსანი ვერ შევყარეთ. ელიან, ელიან და ჩვენ ამ შვიდ თვეში 27 კაცს ვერ აღვემატეთ. განვიხილოთ ეს საქმე და ხელი ამ დადგენილებახედ მოვაწერინოთ 40 ხმოსანსო.

ბოლოს საბჭომ დაადგინა, ჩერქეზიშვილების დოკუმენტებიდან ამოიშალოს ხრიკები.

შემდეგ საფინანსო კომისიაში ამორჩეულ იქმნენ ხმოსნები: გრიკუროვი, იოანისიანი, ბაღდასაროვი და დუღაძე. არჩეულ იქმნა აგრეთვე კომისსია სარევიზიოდ ქალაქის ანგარიშისა 1904 წლისა: იოანნისიანი, გ. ზ. თამამშევი, სვეშნიკოვი, ი. მ. დოლუხანოვი, ევანგულოვი, ამირხანოვი და ბაღდასაროვი.

კრებამ დიდი დრო მოანდომა გამგეობის წევრის ა. ი. ხატისოვის მოხსენებას. იგი შეეხება ქალაქის წყალს, ელექტრონს, სამკურნალოს და სხვ. ავჭალის წყალი, სთქვა ხატისოვმა, და მისი მანქანები ეხლა კარგ მდგომარეობაშიაო. წყლის დასაწმედი მანქანები ამ ერთ კვირაში თავის დონეზედ დადგება, რაც შეეხება ქვაბებს და ორთქლის მანქანებს, ამაზედ სრული ცნობები ორ კვირაში გვექნებაო, მხოლოდ აპრილში სუყველაფერი წესიერად იქნებაო. ვნახოთ, ზაფხულში გამართლდება თუ არა ეს დაპირება.

ელექტრონის შესახებ ქალაქის გამგეობა გამოლაპარაკებია ბელგიის უსახელო საზოგადოებას. ქალაქს სამჯერ მიუწერია მისთვის, მაგრამ ამ საზოგადოებას პასუხი ჯერაც არ მიუცია. თუ ამ საზოგადოებამ, სთქვა ხატისოვმა, არ იკისრა ქალაქის ელექტრონი, მაშინ ჩვენ სხვა გეგმას შევიმუშავებთო. რაც შეეხება ქალაქის სამკურნალოს, ამ საქმისთვის არამიანცმა შემოსწირა ქალაქს 100,000 მან. ამ ფულით ვაშენებთ სამკურნალოს ავლაბარში, აგრეთვე შესწირა ზუბალაშვილმა 100,000 მან. ამავე საქმისათვის. ჩვენ გვინდოდა ეს ფული შეგვეერთებინა და გაგვეკეთებინა ფართო და დიდი სამკურნალო, ამის შემდეგ ზუბალაშვილმა თავისი შემოწირულება აღსრულებაში აღარ მოიყვანაო. ეხლა გავიგეთ, რომ ზუბალაშვილს ეს ფული არ ენანება, მხოლოდ მას სდომებია დაარსება ცალკე სამკურნალოსი და არა არამიანცთან შეერთებაო. ამის შემდეგ ჩვენ გადავსწყვიტეთ არამიანცის შემოწირულებას მიუმატოთ 40,000 მან. და გავაკეთოთ ცალკე ავლაბარში სამკურნალო, მხოლოდ ზუბალაშვილების ფულით დავაარსოთ სხვა სამკურნალო, ზუბალოვების სახელით. ამ სამკურნალოსთვის გეგმას ვადგენთ და ხელ-ახლად უნდა მოვთხოვოთ ფული ზუბალაშვილებს. იმედი გვაქვს ამ ფულს მოგვცემენო. საყასბოს დაარსებისათვის ორი პროექტი გვაქვს, ამ ორში ერთ-ერთი უნდა მოვიყვანოთ აღსრულებაში. რაც შეეხება ქალაქის ქუჩების დაგებას, ამ საქმეზედ ბელგიის უსახელო საზოგადოებას მოუცია 600,000 მან., აქ ფულიდან დახარჯულა 530,000 მან., დარჩა 70,000 მან. ეს ფული უნდა დაიხარჯოს დაგებულ ქუჩების შესაკეთებლად და 30,000 მან. ახალ ქუჩების დასაგებად. მაშინ მთელ ქალაქში იქნება დაგებული ქუჩა 80,000 ოთხ-კუთხი საჟენი. რომ მთელი ქალაქი დავაგოთ, კიდევ დასჭირდება 400,000 მან. და ამ ფულს აუცილებლად შოვნა უნდა როგორმე. გარდა ამისა ქალაქი იგებს თითო კუბიკზედ $1\frac{1}{2}$ კაპ. უსახელო საზოგადოებისაგან და ამ მოგებამ შეადგინა 30,000 მანეთამდი. ქალაქს კიდევ აქვს სახმარებლად კუბიკები 30,000 ცალიო.

დასასრულ ხატისოვმა სთქვა, რომ ქალაქი აპირებს მიხეილის ხიდთან, წისქვილთან, დიდის შენობის აგებას: ამ შენობაში უნდა მოთავსდეს საპროფესიონალო სახელოსნო სასწავლებელი, ლომბარდი, ლაბორატორია და სამკურნალოო.

წერილი პეტერბურგიდან.

ვ. ა. სტაროსელსკისთან ბაასი *)

ამ დღეებში ვიყავი ქუთაისის გუბერნატორად ნამყოფ ვ. ა. სტაროსელსკისთან, რომელიც ამასწინად ჩამოვიდა პეტერბურგში.

— ხომ დიდი, —შევეკითხე,—ვითომ თქვენ მთავრობამ გამოგიწვიათ აქ ჩვენების ჩამოსართმევად.

— სრულიადაც არა,—გაიღიმა ბ-ნმა სტაროსელსკიმ.—მე არავის არ მოუპატიჟებივარ, მე აქ ძალდატანებით როდი წამოვსულვარ, საკუთარ სურვილით ჩამოვედი. არავითარი პასუხი და ჩვენება არავის არ უთხოვნია. მე პეტერბურგში ჩამოვედი დასასვენებლად და როგორმე სიმართლის მოსაპოვებლად. არ ვიცი — რა ბრალს მდებენ!..

— თქვენ ხომ უკვე ბრალს გდებენ?

— არავითარს. კავკასიაში დაიწყეს ადმინისტრატიული ძიება, მაგრამ მთელი შეგროვილი მასალა კანცელარიის იქით არ წავა და საზოგადოების კუთვნილებად არ გახდება. რა ბრალი უნდა დამდონ? მე არას დროს კანონს არ ვარღვევდი. მთელი ჩემი მოღვაწეობა დაუფარავი იყო, ყველას წინ ედგა.

— ამბობენ, თითქოს გუბერნატორად დანიშვნამდის ნამესტნიკისთვის წარგედგინოთ მომავალ მოღვაწეობის გეგმა.

— დიახ... მე გუბერნატორობა არა მსურდა. ვცხოვრობდი ჩემთვის წყნარ კუთხეში, საქარის სანერგის მმართველად ვიყავი, წელიწადში 5000 მანეთამდის მქონდა. ვიცნობდი კარგად მთელს ამიერ-კავკასიას, ვიცოდი ადგილობრივ ხალხის გაჭირვებანი და ვცდილობდი რაიმე სარგებლობა მომეტანა. ცოტათი მიზანსაც ვაღწევდი. პირველად, როცა მითხრეს, გუბერნატორად გვსურს შენი დანიშვნაო, მე უარი მოვახსენე. შემდეგ, დავთანხმდი, მხოლოდ ნამესტნიკს წარვუდგინე ჩემი მომავალ მოღვაწეობის პროგრამმა. მე საჭიროდ ვცნობდი კრების და სიტყვის თავისუფლებას, ჯარის გაყვანას, ადმინისტრატიულ გადასახლების და დატუსაღების აღკრძალვას. ეს იყო 17 ოქტომბრამდის. ჩემ გუბერნიაში განხორციელებულმა კრებისა და სიტყვის თავისუფლებამ ჩემ წინააღმდეგ აამხედრა კონსერვატორი—მოხელენი, პროკურატურა, ჟანდარმერია... ვგრძნობდი, რომ დიდხანს ვერ გავძლებდი გუბერნატორის თანამდებობაზე. როცა ჩემს პაწია ბინას ვტოვებდი და გუბერნატორის 32 ოთახში ვთავსდებოდი, ვიცოდი, რომ დიდი, დიდი 6 თვის შემდეგ ისევ ჩემს ძველს სანერგეს დავუბრუნდებოდი. ვახერხებდი გუბერნიის ცეცხლ-ზარბაზნისაგან დაფარვას, მაგრამ ბოლოს ყველაფერი შეიცვალა. რეაქციამ გაიმარჯვა. მე სამსახურის გაგრძელება არ შე-

---

უმთავრესი საქმე, და ის გახდა სახელმწიფოს მთელ შინაარსად.

რისთვის გამოდის ეგრე სახელმწიფო თავის ბუნებრივ ფარგლიდან. რისთვის არის, რომ მას სჭირია ჯაშუშის მახვილი ყური და მაგარი მუშტი, შეუბრალებლობა და მორჩილება მაჯულთა, გემგონი შტიკები სალდათისა და სხ.. თუ ურთიერთობა არსებულ სოციალურ ორგანიზმის წევრთა შორის არის ურთიერთობა გაერთიანებულ ინტერესებისა, თუ კანონი, შექმნილი სახელმწიფოს მიერ, არ ავნებს ვისმეს?

კითხვა. სახელმწიფო, რომელიც სხვას არას იძლევა გარდა თავის ნებაყოფლობასა და მიკერძოებაზე დამყარებულ კანონისა, რომელიც ამათ თუ იმათ ინტერესსა და უფლებათ არღვევს, ე. ი. თუ სახელმწიფო უძლურია მოგვცეს სოციალური კანონი, ის გაუქმებულ უნდა იქმნეს?

პასუხი. ყოველ ეჭვს გარეშეა. იარაღი ბატონობისა ერთის კაცისა თუ კლასისა, მეორე კაცსა თუ კლასზე, არ შეიძლება გადურჩეს იმათ, რომელნიც ესწრაფვიან სოციალურ თანასწორობის განხორციელებას.

კითხვა. ნუ თუ ეს შესაძლებელია? შესაძლებელია განა წარმოვიდგინოთ ან შევქმნათ საზოგადოება უსახელმწიფოდ?

პასუხი. რასაკვირველია, ამისათვის საჭიროა საზოგადოება ისე მოვაწყოთ, რომ თანასწორად იცავდეს ყველას ინტერესებს, რომ ყველას ერთნაირი ინტერესი ჰქონდეს იმის დაცვისა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო სრულიად მეტი ხდება, რადგან წესიერება, რომლის დაცვაც მას აქვს საგნად და რასაც ის მხოლოდ გარეგნულად ასრულებს, ბევრის სისხლის და ფულის ფასით, მოჰყვება ბუნებრივად ყველას მოთხოვნილებათა თანასწორად დაკმაყოფილებას.

კითხვა. რამდენადაც უნდა დამყაროს მომავალი საზოგადოება ინტერესთა თანასწორობაზე, ის ხომ მაინც იძულებული იქნება აიღოს თავის-თავზე ზოგიერთი საზოგადო საქმე, მაგ. რკინის და შარა გზების, ნავთსადგურების, კანდელების და სხვა ამისთანა რამეების გაკეთება, რომელნიც ასე თუ ისე საზოგადო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კეთდებიან და რომელთა აღსრულებაში მოყვანაც ყველას პირდაპირ, თუ არა პირდაპირ ხდება სახელმწიფოს დახმარებით. არა?

პასუხი. მერე ვინა ჰყოფს მაგას უარს? ეს საზოგადო საქმეები სახელმწიფომ ძალად ჩაიგდო ხელში ექსპლოატაციის მიზნით. სწორედ ამან აიძულა ზოგიერთი სოციალისტი ეფიქრნა: სახელმწიფო დანგრეულ კი არა, განახლებულ უნდა იქმნასო. ის-კი ამ საქმეებს სახელმწიფოსთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. ამას ის ამტკიცებს, რომ ზოგიერთი ამ საზოგადო საქმეთაგანი, მაგ. რკინის გზა—იქ, სადაც სახელმწიფო აწარმოებდა რკინის გზებს და მაღნებს—მხოლოდ დროებით რჩებოდა სახელმწიფოს ხელში და მერე ისევ კერძო ამხანაგობათა ხელში გადადიოდა. სხვა საზოგადო საქმეები, მაგ. ფოსტა დარჩა სახელმწიფოს ხელში, იგი ხელმძღვანელობს მათ ადმინისტრაციას, მაგრამ იგი მოშორებულ იქმნა თავის ნამდვილ მიზანს და იმის მაგიერ, რომ გააადვილოს სოციალურ ორგანიზმის წევრთა შორის ურთი-ერთობა, აბრკოლებს.

„მომავალ საზოგადოებაში სხვა და სხვა საზოგადო საქმე ასრულდება იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათისაა ეს საქმეები, ან მწარმოებელ ჯგუფთა ყველა წევრის სრულის დახმარებით, ან კიდევ დროებითი დელეგატების მიერ, რომელნიც არჩეულნი იქნებიან ან ჯგუფის ერთის ნაწილისა ან მთელის ჯგუფისაგან. ამისათვის საჭირო არ იქნება სახელმწიფო, ე. ი. გამოწვევა საზოგადოების დაყოფისა მმართველებად და სამართველოებად, კანონმდებლად და კანონის მორჩილად, ადმინისტრატორებად და ადმინისტრაციის ნების აღმასრულებლად. სახელმწიფო ყველგან და ყოველთვის ნიშნავდა ავტორიტეტის ორგანიზაციას კაცზე კაცის საბატონოთ და თუ მას არ მივცემთ სრულიად ახალ შინაარსს—ორგანიზაცია კაცის დაცვისა და განვითარებისა—რაც ზევით ვსთქვით ყველა მართალია. მაგრამ—და ჩვენ ამ კითხვას სოციალისტებს ვუსვამთ—კარგი იქნება ერთის სიტყვით გამოვხატოთ ისეთი სხვა და სხვა მიზანი, როგორც ყველას თავისუფლება, ბედნიერება და უმეტესობისაგან უმცირესობის ექსპლოატაციაა? კარგი იქნება ერთის სიტყვით გამოვხატოთ ორი ისეთი სხვა და სხვა გვარი სახსარი, როგორიც მაგ., თავისუფალი ზნეობრივი და ფიზიკური დახმარება და ძალდატანება ყველაფერში და ყველაფრისთვისაა? ჩვენ რომ აგრე მოვიქცეთ, არ გავუადვილებთ ბრძოლას სოციალისტებთან, რომელთა მიზანი საზოგადოების ყველა წევრის სრული თავისუფლებაა, იმათ, ვინც ბრალსა სდებს სოციალისტებს, ვითომ მათ უმრავლესობისთვის უნდოდეთ გადაცემა ძალისა უმცირესობის დასაჩაგრავად?"

ასეთია მცნება სახელმწიფოზე ფრანგულ სოციალ-დემოკრატიის დამაარსებელისა; ასეთი იყო ის რწმენა და აზრები, რომელთაც მოუპოვეს გედს პოპულიარობა თავის ქვეყნის მაშვრალთა, „კაცთა შორის კაცად არ მიჩნეულთა" შორის. აქედან იწყება მისი პოლიტიკური კარიერა, ამ აზრებმა გახადა იგი საფრანგეთში პოლიტიკურ ძალად. იმისი ამხანაგი ლაფარგთან ერთად პარტიის დაარსებაში უკვე ხსენებული გ. დევილი ამ ხანებში და ცოტა მერეც იმავე აზრებს ჰქადაგებდა სახელმწიფოზე.

„სახელმწიფო, ამბობდა ის, არსებულ „საზოგადო საქმეთა" ჯამი, ისეთი რამ-კი არ არის", რასაც მხოლოდ აქა-იქ შეკეთება და დამატება სჭირია.

„გაკეთება-კი არა, დანგრევა უნდა სახელმწიფოს, რომელიც მყვლეფელ კლასთა ორგანიზაციაა, შექმნილი გაყვლეფილთა ექსპლოატაციის და მონობაში ყოლის გასაადვილებლად.

ძალიან ცუდია იმის გაძლიერება, რის დანგრევაც გწადია. ...სახელმწიფოს შეკეთება სოციალიზმის საკითხებს არ გააადვილებს. საფრანგეთის ბანკის ან რკინის გზების ხელში ჩაგდება უფრო ადვილი ხომ არ არის, ვიდრე ფოსტისა და ტელეგრაფისა. ხელში ჩაგდება მსხვილ წარმოებათა, რომელნიც კაპიტალისტებს ეკუთვნით, ისე ადვილი იქნება, თითქო ისინი სახელმწიფოს ეკუთვნოდნენ *).

ეჰ! იყო დრო, როცა დღევანდელ „მოშინაურებულ" სოციალისტებს სიტყვას ვერ დაუწუნებდით, მაგრამ განქრა ის დრო, ძლიერად მიმზიდველმა ძალამ „რეალურ პოლიტიკისამ" ყოველივე შთანთქა ასეთი, მარტის დღესავით ცვალებადი მოღვაწენი, უდგნენ და უდგანან სათავეში საერთაშორისო სოციალდემოკრატიას და გასაკვირველია მისი უპრინციპობა? მართლაც და, ვინ იცნობს დღევანდელ გედში იმ გედს, რომელიც მე-70 წლების დამლევამდე იყო? გედი გვატყობინებს, რომ კანონი, თვით დემოკრატიულ სახელმწიფოშიაც-კი, თუმცა იხატება როგორც საერთო ქმნილება, არის და არ შეუძლია არ იყოს შედეგი დამჩაგვრელ უმცირესობის სურვილისა. ის ამტკიცებს, რომ საერთო ამომრჩევლობა არ არის სრულიად საერთო. თვით საუკეთესო ფორმა დემოკრატიისა — პირდაპირ კანონმდებლობაც კი არ აკმაყოფილებს მ.ს. იგი გვარწმუნებს, რომ უკეთესს შემთხვევაში, ე. ი. მაშინ, როცა ყველანი იღებენ მონაწილეობას კენჭის ყრაში, კანონი არ არის გამოხატულება საერთო ნებასურვილისა, არამედ მხოლოდ უმრავლესობისა, და უმცირესობის წინააღმდეგ არის მიმართული. ერთის სიტყვით, მისის აზრით, სახელმწიფო გაუქმებულ უნდა იქნას. ერთად-ერთს გარანტიას მშვიდობიანობის, მყუდროების, ერთობა თავისუფლების განხორციელებისას იგი ხედავს თავდაპირველად ისეთ პირობების დამყარებაში, სადაც ყოველივე ანტაგონიზმი ჯგუფთა თუ ინდივიდთა შორის მოსპობილი იქნება. მაშინ, როცა ინტერესთა ჰარმონია იქნება დამყარებული, გედს საჭიროდ არ მიაჩნია არავითარი ძალ-დამტანებელი, თვითნება ცენტრალურ ორგანიზაციის არსებობა. ანარქიზმია ეს, მა რა ჯანდაბაა? ადვილი მისახვედრია, რაკი გედი ასე აშკარად უარ-ჰყოფდა სახელმწიფოს, იგი რევოლიუციონერი იყო და პირდაპირ მფლობელ და მმართველ კლასთა წინააღმდეგ მოქმედებას ჰქადაგებდა.

შემდეგ ვნახავთ რა გზას დაადგნენ ეს ნარევოლიუციონარი ვაჟბატონები. ჯერ აღვნიშნავთ, რომ ის აზრები, რომელსაც გედი ადგა მე-70 წლების დამლევამდე საზოგადოდ და ძირითად სოციალისტურ აზრებად და რწმენად ითვლებოდა. დღემდისვე ეს აზრები დარჩნენ ხელმძღვანელ აზრებად მუშათა მოძრაობისა ლათინთა რასის ხალხთა შორის. სოციალიზმი კი არ გამოიცვალა, გედი და მასთან ერთად მთელი საფრანგეთის სოციალდემოკრატია გამოიცვალა.

შესაძლებელია გვითხრან: ნუ თუ გედს უფლება არა ჰქონდა თავისი აზრები შეეცვალა, თავისი ძველი გზა შემცდარად ეცნო და ახალს დასდგომოდა? რასაკვირველია, შეეძლო, მაგრამ აზრების შეცვლაც არის და აზრების შეცვლაც. როცა კაცი ათ-თუთხმეტის წლის განმავლობაში ერთს იდეალს ემსახურება, იმას უცებ არ შეუძლიან ამოიგლიჯოს ეს იდეალი გულიდან. ამას გარდა ეს აზრის შეცვლა ხანდახან ისეთ პირობებში ხდება ხოლმე, რომ იგი უფრო რენეგატობასა ჰგავს. გედსაც ეგრე მოუვიდა. ის ისე მოიქცა, როგორც ზოგიერთი ებრაელი იქცევა, რომელთაც რუსულად „Выкрестъ" (გადმონათლულებს) უწოდებენ. ებრაელი რომ მოინათლება, უსათუოდ ანტისემიტი უნდა გახდეს. ებრაელს, რასაკვირველია, თუ კი ჰსურს, სრული ნება აქვს მოინათლოს, ანტისემიტობის ნებას კი გონიერება ვერ მოითხოვს. გედსაც ნება აქვს უარ-ჰყოს თავისი რწმენა, მაგრამ იმის ნება კი არა აქვს, რომ ისინი, ვინც მისივე რწმენის ერთგულნი დარჩნენ, ჰგმოს და ტალახში ათრიოს. მას თუ გადათქმის, მარტის დღესავით ცვალებადობის, ნება აქვს, სხვას ის ნება მაინც უნდა ჰქონდეს, რომ დარჩეს ერთგული თავის წმიდათა-წმიდისა და ბოლომდის ემსახუროს მას. ეს ჯიუტობა არ არის და რომ იყოს კიდეც, კარგი ჯიუტობაა.

ქება თქვენდა, ჯიუტებო! ჩვენ თქვენ გადიდებთ, მონებო პრინციპებისა, იდეალის თავ-გადადებით შეყვარებულნო!

ჩვენი დროის ცხოვრება ისე ყალბი, უბედური, დაგლესილი, დაბურთული და შებღალულია ყოველ გვარ შავ-ძალებისაგან რომ სიცოცხლე არ შეიძლებოდა, სავარგისი და სასიამოვნო არ იქნებოდა იგი, რომ წამებით მაინც იდეალისათვის და იდეალით არ ვცხოვრობდეთ. დიდება თქვენდა, მონებო იდეალისა!

ტ. თრ—იანი.

---

*) იხილე Apercu sru le socialisme scientifique p. p. 16 et 17.

მეძლო, შეუძლებლად მიმაჩნდა. ნამესტნიკს სამჯერ გავუგზავნე თხოვნა—ვთხოვდი სამსახურიდან დათხოვნას, მაგრამ ჩემს სურვილს არ ასრულებდა, შეუძლებლად ცნობდა ჩემს სამსახურიდან წასვლას.

— რით უნდა აიხსნას თქვენი უთხოვნოდ დათხოვნა?

— ჯერ დაბეჯითებით არ ვიცი... ნამესტნიკმა 8 იანვარს წერილი გამომიგზავნა; ამ წერილში უსიამოვნების ღანდსაც ვერ დაინახავდით. რამდენიმე დღის შემდეგ კი დამითხოვეს „безъ прошенія“ (ნამესტნიკთან კი სამი ჩემი თხოვნა დევს.)

— მოახერხებთ, სასამართლოს გადასცენ თქვენი საქმე?

— არ ვიცი... კანონი ჩემ წინააღმდეგია: უთხოვნოდ სამსახურიდან დათხოვნილთ არა აქვთ უფლება თავიანთ საქმეების სასამართლოში გადაცემა ითხოვონ, ამისდა მიუხედავად მე ვეცდები გამოვარკვიო რა ბრალიც მდევს. შეიძლება ის შედება დანაშაულად, რომ გუბერნიას ვიცავდი და ცეცხლს, მახვილს, აწიოკებას ვაშორებდი. დაწვა—დახვრეტის უფლებას არავის ვაძლევდი, დამშვიდების ასეთი საშუალება ეხლაც უადგილოდ და გაუმართლებლად მიმაჩნია. ჩემს გუბერნიაში ცეცხლისა და მახვილის გამოიწვევი მიზეზი არა ყოფილა.

— მართალია, ვითომ ტფილისში აფიცერთა რჩევას თქვენი დასჯა ეთხოვოს?

— არ ვიცი, ისინი საზოგადოდ ჩემ წინააღმდეგ იყვნენ. გუბერნიის დასამშვიდებლად სამხედრო ძალას არ მივმართავდი ხოლმე.

— შეიძლება კავკასიის მთავრობამ მოითხოვოს თქვენი საქმის სასამართლოში გადაცემა?

— ჩემი სურვილიც ეს არის... ჯერ კი მსურს დავისვენო, ცოტათი დავმშვიდდე...

მალაქია ბოლქვაძე

სასამართლო

ექიმის საქმე

ამას წინად ტფ. ოლქის სასამართლომ განსახილველად მიიღო ერთი საყურადღებო საქმე, რომელიც ნათლად ახასიათებს ზოგიერთს დიპლომიანის ზნეს. მომჩივნის ვექილი მაჩივრის ქაღალდში სწერს შემდეგს: 1902 წელს ექიმმა გრიგოლ ივანეს ძე ტერ-გრიგორიანცმა ჯვარი დაიწერა კნიაჟნა სოფიო არგუთინსკი-დოლგორუკოვის ქალზე. ექიმს ტერ-გრიგორიანცს პირველ ცოლისაგან ჰყავდა სამი შვილი და სამივენი კნ. არგუთინსკის პანსიონში მიუბარებია. აქედან დაწყებულა მათ შორის ნაცნობობა. ექიმს გადაუწყვეტია ქალის შერთვა და თავის მოსაწონებლად თავის თავს სახავდა საზოგადო საქმეებით გატაცებულ კაცად. ამ ექიმს ხშირად უთქვამს კნიაჟნასთვის, ისინი, ვინც გატაცებულნი არ არიან უწმინდესის და უდიდესის იდეალით, ღირსნი არიან ზიზღისაო. ეფიცებოდა აგრეთვე, როგორც საჩივარშია აღნიშნული, სიყვარულს და ეუბნებოდა გაგაბედნიერებო. ამ ლათაიებთან ერთად ენაწყლიანი ექიმი ხანდის ხან კნიაჟნას სიტყვას ჩამოუგდებდა ხოლმე, დიდი სახლები რომ გაქვთ მიხეილის ქუჩაზე ჩემს სახელზე დამტკიცეო. კნიაჟნამ მიიღო წინადადება „უმაღლეს იდეალებით გატაცებულ“ ექიმისა და ჯვრის დაწერის ერთი თვის შემდეგ თავისი სახლი ქმარს დაუმტკიცა ჩუქებითის ბარათით კანონისამებრ. არ გასულა დიდი დრო, რომ ექიმი გამოიცვალა. ის ცუდად ეპყრობოდა მეუღლეს, შეურაცხებას აყენებდა სისტემატიურად, ამასთან ისე, რომ ქალს ცრემლების მეტი არა დარჩენოდა რა. რამოდენჯერმე ისიც-კი უთხრა ცოლს, მოვტყუვდი, რადგან ისე მდიდარი არა ყოფილხარ, როგორც მეუბნებოდნენო. ამ რიგად ოჯახის ცხოვრება ჯოჯოხეთს დაემსგავსა.

ვექილი საჩივარში, სხვათა შორის, ამბობს: „ძნელია გადმოცემა იმ საშინელ ტანჯვა-წვალებისა, რომელსაც ექიმი აყენებდა სამის წლის განმავლობაში თავის მეუღლეს სოფიოს. როდესაც ქალი პროტესტს უცხადებდა ხელში ატეხილ ღრიანცელისა გამო, ქმარი ეუბნებოდა: ეს სახლი ჩემია, მე აქ ბატონ-პატრონი ვარ და თუ შენ აქ ცხოვრება არ მოგწონს, ეშმაკეთან დაიკარგეო. შემდეგ გამოირკვა, რომ ექიმი დაახლოვებია ვიღაცა ქალს. ქალი ექიმთან მოდიოდა, როგორც ავადმყოფი მასაჟისთვის“.

როცა „იდეალებით გატაცებულ“ ექიმის ასეთი ოინები გამოირკვა, ქალს თავი მიუნებებია თავის სახლისთვის, დაუქირავებია სხვა სახლი და გადასულა. ამის შემდეგ ქალს ვექილის ქალანთაროვისთვის მიუნდვია შინაურულად მოლაპარაკება ქმართან და მათი მორიგება მატერიალურის მხრით. ვექილს წინადადება მიუცია, ნაჩუქარი სახლი პატრონისათვის დაებრუნებინა. ექიმს ამაზე, როგორც იმავე საჩივარშია აღნიშნული, უპასუხნია: მე კნიაჟნა სოფიო არგუთინსკი-დოლგორუკოვი ანგარიშით შევირთე და ნაჩუქარი სახლი იმ ზარალის ანაზღაურებაა, რომელიც ჯვრის დაწერით მომივიდა. ამ დრომდე ქალაქ ბაქოში ვცხოვრობდი და ისეთი კარგი პრაქტიკა მქონდა, რომ ფული ჩეჩქივით მოდიოდა. ტფილისში გადმოვსახლდი და შემოსავალი დავკარგეო. ვექილს წინადადება მიუცია, სამედიატორო სამართალში გაჰყოლოდა ცოლს. მედიცინის დოქტორს ამაზედ უარი უთქვამს: მეო განათლება საფრანგეთში მივიღე და რუსეთში გავრცელებული ზნეობრივი შეგნება ცოლ-ქმრობის შესახებ არ ეთანხმება ფრანგთა შეხედულებას. მე რომ რუსეთში სამედიატორო სამართალში გავყვე ვისმეს, რა თქმა უნდა, გამამტყუნებენო. მაშინ ვექილს უთქვამს, მაშ საფრანგეთში ამოვირჩიოთ მედიატორებიო. ექიმს მაზედაც უარი განუცხადებია და უთქვამს, მე ნაცნობები არავინ მყავს საფრანგეთშიო.

ამ რიგად საქმე სასამართლომდე მისულა. მომჩივანი სასამართლოში აცხადებს: მას შემდეგ, რაც ქმარმა ამბავი დამაწყვია, ჩუქებითს ბარათს არავითარი მნიშვნელობა აღარ უნდა ჰქონდეს და ქმარმა ჩემი სახლი მე უნდა დამიბრუნოსო. ამასთან მომჩივანმა ითხოვა „ზაპრეშჩენიე“ დაედოს სახლს რაც ოლქის სასამართლომ შეიწყნარა კიდეც. ამ დღეებში ამ საქმის გამო მოპასუხემ კერძო საჩივარი შეიტანა ოლქის სასამართლოში. ამ კერძო საჩივრის გამო ოლქის სასამართლომ საქმე პალატას გადასცა განსახილველად.

რუსეთი

სიკვდილით დასჯის პატიება. გენერალ იზმაილოვიჩის ქალს, რომელსაც გუბერნატორის მოკვლის განზრახვისთვის სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, ეს სასჯელი უვადო კატორგად შეუცვალეს.

იარაღის მოპარვა. სიმფეროპოლიდან იტყობინებიან, რომ 19 თებერვალს, დილის 10 საათზედ, აღმოუჩენიათ, რომ ზაფრალის მეორე პოლკიდან მოუპარავთ 152 თოფი და 700 ათასი პატრონი. დვინსკში კიდევ გაუტაცნიათ 200 თოფი და 20 ყუთი პატრონი.

თავის მოკვლა ციხეში. პსკოვის გუბერნიაში ერთმა პოლიტიკურმა პატიმარმა ნავთი დაასხა საწოლს, თვითონ ზედ დაწვა და კინაღამ დაიწვა თავის საწოლთან ერთად. მოცვივდა ხალხი და დიდის ბრძოლის შემდეგ ძლივს გადარჩა. ამბობენ, ეს პატიმარი საპყრობილის სასტიკმა რეჟიმმა ჭკუაზე შეშალაო.

საფრანგეთი და რუსეთის სესხი. პარიჟში „ადამიანის უფლებათა ლიგას“ დაუდგენია გამოიწვიოს საფრანგეთში აგიტაცია, რომ ხელი შეუშალოს საფრანგეთში რუსეთის სესხის განხორციელებას, რადგან ამ ლიგის აზრით საფრანგეთის დემოკრატიამ არ უნდა გამოიღოს ფული რეაქციის გასაძლიერებლად. ლიგამ დაუგზავნა პროვინციებში თავის განყოფილებებს ასი ათასობით ჟურ. „რევიუ“-ს წერილი რუსეთის ფინანსების მდგომარეობის შესახებ.

მუშების განზრახვა. როგორც „ნარ. გაზ.“ იუწყება, მოსკოვში ხმა დადის, რომ მუშები აპირებენ არჩევნების დროს შემდეგი დემონსტრაცია მოახდინონ: აირჩიონ რწმუნებულნი და მერე, როდესაც დეპუტატების არჩევნების დრო დაინიშნება, არჩევნებზე უარი განაცხადონ.

ახალ აჯანყების მოლოდინი. იგივე გაზეთი გადმოგვცემს, რომ მოსკოვში შესაძლოა მარტში ხელ-ახლა მოხდეს შეიარაღებული აჯანყება. გაზეთი ამგვარ მოლოდინს აფუძნებს უკიდურეს პარტიების ზოგიერთ წარმომადგენელთა სიტყვებზე და აგრეთვე იმაზე, რომ ქალაქ გარედ განუწყვეტელი ვარჯიშობაა სროლაში.

ორი ტელეგრამმა სესხის შესახებ. გაზ. „რუს“-ში დაბეჭდილია ორი დეპეშა საკუთარ კორრესპონდენტისა: ერთი ბერლინიდან, მეორე პარიზიდან. ორივე რუსეთის სესხს შეეხება. ბერლინში დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია „რუსსკოე გოლოს.“-ს წერილს იმის შესახებ, რომ რუსეთი სესხის ასაღებად იძულებული იქნება უკიდურეს ზომას მიმართოს. „ყველანი გაკვირვებულნი არიან: რა საჭირო იყო ამის საქვეყნოდ აღიარება? განა ისე-კი ეჭვი აქვს ვისმე, რომ რუსეთს ეხლა სესხს არავინ არ მისცემს, თუ ისეთი რამ გარანტია არ იქნება, როგორც, მაგალითად, რკინის გზები, ღვინისა და თამბაქოს მონოპოლია. ეს უბრალო დალალსაც-კი ესმის“, ასე ამბობენ თურმე ფინანსისტები. ამისთანა წერილები, როგორც ტელეგრამმაშიც არის ნათქვამი, ძლიერ ძირსა სწევს ქაღალდების ფასს და რაც უფრო დაწეული იქნება ქაღალდის ფასი რეალიზაციის დროს, ხომ იმდენად უფრო საზარალოა რუსეთისათვის. ბანკირთა წრეებში გამუდმებით ლაპარაკობენ თურმე იმის შესახებ, რომ რუსეთი სესხს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ აღნიშნულ გარანტიას მისცემს ან თუ რამე ავარიულ პოლიტიკურ მოვლენას იკისრებს (მაგ., მხარს დაუჭერს ვისმე ისეთ რამეში, რაც თვით რუსეთისათვის სრულიად საზარალოა). „გაზვიადება-კი არა, ნამდვილი ჭეშმარიტებაა ის, რომ, მაგალითად, კონსტ.-დემოკრ. პარტიის ბიუროს დახურვას აქ უფრო ძლიერი გავლენა აქვს ფინანსისტებზე, ვიდრე ათას გრაფ ვიტტეს წერილს“.

პარიზიდან კი იუწყებიან, რომ რამდენიმე დეპუტატი შეეკითხა რუვიეს რუსეთის სესხის შესახებ საფრანგეთში. რუვიემ თუმცა პირდაპირი პასუხი არ მისცა, მაგრამ ის კი გადაჭრითა სთქვა, რომ მაროკოს კონფერენციის გათავებამდის სესხზე ლაპარაკიც-კი არ შეიძლებაო. ხოლო თუ კონფერენციას სასურველი შედეგი არ მოჰყვება, მაშინ სესხი სრულიად შეუძლებელია. რადგან შესაძლოა გარემოება ისე მოეწყოს, რომ საფრანგეთს ფული თვით დასჭირდესო.

ტულა. ქ. ტულაში გუბერნიის ერობის მოსამსახურეებს ნაბრძანები აქვთ, წარადგინონ ცნობა იმის შესახებ, თუ ვინ რომელ პარტიას ეკუთვნის. ვინც არ წარადგენს, იმას სამსახურიდან დაითხოვენ.

რუს ემიგრანტები შვეციაში. შვეციაში დიდის ყურადღებით და პატივისცემით ეპყრობიან თურმე რუს ემიგრანტებს. გაზეთებში ბევრი წერილი იბეჭდება იმათ შესახებ. შვედები დიდ მხურვალებას იჩენენ ემიგრანტების მიმართ: აგროვებენ იმათ სასარგებლოდ ფულს. ემიგრანტების დახმარების საქმის მოწყობა ნეო-სოციალდემოკრატებს უკისრიათ, სხვათა შორის ემიგრანტებისათვის აუშენებიათ ტბის პირად ორსართულიანი სახლი, რომელშიაც ამჟამად 40 ემიგრანტი სცხოვრობს. ზოგიერთ იმათგანს ეძლევა 60—100 კრონა. მუშებს სამუშაოს აძლევენ თავის გამოსაკვებად. ამას წინად სტოკჰოლმში იყო მ. გორკიც.

დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

26 თებერვალი

ალჟესირასი, 26 თებერვალი. დილის სხდომაზე ფრანგების წარმომადგენლები თხოულობდნენ მიეცეთ მათი სინდიკატისთვის სამი განსაკუთრებული პაი მაროკოს ბანკის კაპიტალზე და უარი სთქვეს იმ წინადადებაზე, რომლის ძალით პორტის სათავეში ნეიტრალური სახელმწიფოს ინსპექტორი უნდა დაინიშნულიყო, თუმცა დელეგატების უმეტესობა მომხრე იყო გერმანიის პროექტისა. რუსის დელეგატები ამ ჟამად იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საჭიროა საფრანგეთს დაუთმონ.

პარიჟი. სარიენმა, სხვათა შორის, აცნობა კლემანსოს, რომელმაც გადაჭრით განაცხადა მისთვის შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელის ჩაბარების შესახებ და მოითხოვა მისთვის მაინდამაინც ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის კანონის განხორციელება. სარიენმა უპასუხა, რადგანაც არჩევნების წინა მოახლოვებულია უკვე, ამიტომ ეს საქმე მინისტრ პრეზიდენტს უნდა მიენდოსო. კლემანსო მაინც თავისას გაიძახოდა. ამბობენ, რომ სარიენი და კლემანსო შეთანხმდნენ სადამოს თათბირის დროისათვის. მაგრამ ეჭვია, რომ სრული შეთანხმება ჩამოვარდნილიყოს.

ყაზანი. თათრულ გაზეთის „აზარ“-ის რედაქტორი პასუხის გებაში მისცეს.

ჰელსინგფორსი 7 წლის ციხე გადაუწყვიტეს ერთ-ერთ უფროსს ეგრედ წოდებულ „მუშათა წითელ გვარდიის“-ას მაიანმაკის, რომელმაც ქალაქის პარკში ტყვიით მოჰკლა თავისი ამხანაგი. გარდა ამისა დამნაშავემ ქვრივობლების სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს 185 მარკა დასაფლავებისთვის და ყოველ თვიურად 80 მარკა.

კალკუტა გაზეთი „პიონერ“-ი ამბობს სამხედრო მინისტრ გელდმანის სიტყვის შესახებ, რომ ახლანდელი დრო მოსამზადებელი საფეხურია დიდი ომისთვის მომავალში, მთელი ცენტრალური აზია უნდა მისცეს ინგლისს ხელშიო.

კალიში. ერთს მუშას შეუვარდნენ ბინაზე, სცემეს და უნდოდათ მოეკლათ, მაგრამ ყვირილზე ხალხმა მოიყარა თავი. ბოროტ-გამზრახველებმა დასჭრეს მუშა და გაიქცნენ.

ლანსი (საფრანგეთი). მინისტრებმა და ფედერაცის წარმომადგენლებმა პოლიციის პრეფექტს 10,000 ფრანკი გადასცეს მაღაროებში დაღუპულთა ოჯახების დასახმარებლად. ყველგან დაიკეტა სამხიარულო დაწესებულებათა კარები. ყველგან საზოგადოებრივ ბაირაღებია გამოფენილი. ბევრი დაიღუპა აგრეთვე ჯარისაგან, რომელიც მაღაროებში მოუღლელად ეძებდა. ამოიღეს ჯერ-ჯერობით 60 გვამი.

27 თებერვალი.

თეირანი. რადგან დაჟინებით ამბობენ, რუსეთის შაქარი, სპარსეთში შემოტანილი მოწამლულიაო, ამიტომ, ხალხის დასამშვიდებლად, მთავრობამ ჩვენი მისიის მოთხოვნით, დანიშნა კომისია სანიტარებისაგან და მაინდო გამოკვლევა რუსის შაქრის. თავრიზში ძლიერ შემცირდა სიკვდილი უკანასკნელ ხანებში.

ბერდიჩევი. კერძო ვექილის ფუქსის მამულში იპოვნეს ასაფეთქებელ მასალის ლაბორატორია. წაიღეს 19 ბომბა.

პარიჟი. ჯერ-ჯერობით პორტფელების განაწილება ამნაირად მოხდა: სარიენს ჩაბარდება იუსტიციის მინისტრის პორტფელი, ბრიანს—შინაგან საქმეებისა, ეტიენი სამხედრო მინისტრად დარჩება. სოციალისტურ პარტიის ნაციონალურმა საბჭომ დაადგინა, გამორიცხოს ბრიანი პარტიიდან, რადგანაც მან პორტფელი მიიღო. ჟორესი ამ რეზოლიუციის შესახებ ამბობს, რომ მას პრინციპიალური ხასიათი არა აქვს. სოციალისტები მხარს დაუჭერენ კაბინეტს.

კალიში. ამბობენ, ვექილ ნარჩევსკის საქმე, რომელსაც სალდათების აჯანყებაზე წაქეზება ედებოდა ბრალად, მოისპობაო.

პეტერბურგი. სამხედრო სამინისტროში ლაპარაკია აღძრული ძირიანად შესცვალონ უმაღლეს და საშუალო სამხედრო სასწავლებლების პროგრამმა.—20 მარტს გაარჩევენ „პოლიარნაია ზვეზდა“-ს რედაქტორ პეტრე სტრუვეს საქმეს. დამცველად ვინავერი იქნება.

რიბინსკი. გლეხებმა აირჩიეს სამი მამასახლისი ვოლოსტისა და ერთი ერობის წევრი.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროს შენობის მოსაწყობად საჭიროა 700,000 მან.—პროფესორთა კრებაზე დაადგინეს, მიეცეთ სტუდენტებს უფლება ერთის სპეციალურ სასწავლებლიდან მეორეში გადასვლისა. პროფესორის დათხოვნა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება.

ვლადივოსტოკი, ამურის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან და ერთის კვირის განმავლობაში უნდა გავიდნენ ამურის მხრიდან, სატახტო ქალაქებში ცხოვრების ნებადაურთველად უსურიის გზის მთელი საბჭო და რამდენიმე აგენტი გზისა. ამათ ჰბრალდებათ გაფიცვაში მონაწილეობა და რკინის გზის უფროსის პოლკოვნიკ კრემერის გადაყენება სამსახურიდან. დარჩა მთელი საბჭოდან მხოლოდ გზის მასალის განყოფილების უფროსი ლალოში და წევრები გზისა და ფინანსთა სამინისტროებისა, რომელთაც არ მიიღეს მონაწილეობა გაფიცვაში.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

27 თებერვალი

მერვი. სუბბოტიჩს ხალხი მიეგება ვოკზალზე. როცა გენერალი გამოვიდა სადგურზე, მან სიტყვით მიმართა თურქმენებს და უთხრა, რომ მათ ინტერესებს იგი რუსების ინტერესებისავით აფასებს და ზრუნავს მათზე. თურქმენთ უპასუხეს, რომ იგინი თავიანთ თავს არ დაზოგავენ თეთრის მეფის სამფლობელოთა დასაცველად. აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ გენ. სუბბოტიჩს რკინის გზის მუშები მიეგებნენ და უთხრეს, რომ ისინი ყოველ ღონისძიებას იხმარებენ რევოლიუციონერთა ასალაგმავად. ჩვენ, რუსის მუშებით, დასძინეს მათ, შევასრულებთ ჩვენს ვალს ხელმწიფის წინაშეო.

ვლადივოსტოკი. მხარეს და ქალაქში სრული სიწყნარეა. ვაჭრობა ვითარდება.

ტოკიო. კორეის იმპერატორმა მიიღო იტო და ჩააბარა მას მიკადოს მიერ გამოგზავნილი საჩუქრები.

ტანჟერი. ევროპიელების კაფე და სახლები სადაც ესპანიელები იდგნენ, ვასიუღას ბრძანებით გადასწვეს. ამ ქცევამ საერთო წყრომა გამოიწვია.

პარიჟი. კურიერის მაღაროებიდან 700 ცოცხალი მუშა ამოიყვანეს. კიდევ დარჩა მოუძებნელი 1158 მუშა.

ვარშავა. შიფერის ფაბრიკაში შევიდა 12 შეიარაღებული კაცი, დაემუქრნენ ფაბრიკანტს რევოლვერებითა და ბომბებით, გაადებინეს კასა, წაიღეს 500 მანეთი და წავიდნენ, ისროლეს რა ერთი-ორი ტყვია ჰაერში.

კოვნო. საერთო განათლების მინისტრის განკარგულებით მოისპო კანონი, რომლის ძალით ქალაქურ სასწავლებლების შაგირდებს უსათუოდ რუსულად უნდა ელაპარაკნათ სასწავლებელში ყოფნის დროს.

კრემენჩუგი. შეიარაღებული პირები შეუცვივდნენ ვინმე მაგიდას, მოსთხოვეს გასაღებები, დაწიოკეს ყველაფერი, ვერაფერი ვერ იპოვნეს და მიიმალნენ.

კიევი. არ ისვენებენ და იპარავენ საარჩევნო სიებს; ამიტომ ყარაულები დააყენეს იმ შენობასთან, სადაც სიები ინახება.—რადომისლისა და ბერდიჩევის მაზრებში გლეხებმა მემამულეების ტყეები გასჩეხს. არეულობა მოისპო მიღებულ ზომების შეოხებით.

განჯა. 24 თებერვალს გაძარცვეს დიდის სასწავლებელი ზენგეზურის მაზრაში.

შადრინსკი. შადრინის მაზრის ზოგიერთი ვოლოსტი უარს ამბობს სახელმწიფო გადასახადის მიცემაზე სახელმწიფო სათათბიროს მოწვევამდე.

ლოძი. ფალკის ფაბრიკაში შევიდნენ 20 შეიარაღებულები და 400 მანეთი მოსთხოვეს, ფაბრიკანტს ფული არ აღმოაჩნდა, მძარცველები დაკმაყოფილდნენ ვექსილით და მიიმალნენ.

ყაზანი. დღეს დიდძალ ხალხის თანდასწრებით დაასაფლავეს უნივერსიტეტის რექტორი ლიუბიმოვი.

სიმფეროპოლი. მელიტოპოლის მაზრაში გლეხებში არეულობაა. გაიგზავნა ჯარი.

სევასტოპოლი. შავის ზღვის ფლოტის მთავარ კომანდირს წარედგინა საკასაციო საჩივარი შმიდტისა და „ოჩაკოვის“ კომანდის შესახებ.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, შეიარაღებულ თავდასხმა რევოლიუციონერების წინააღმდეგ სასტიკად არის აკრძალული, ისე როგორც რევოლიუციონერთა შეიარაღებაო.

ხელ-ახლა იქნა გადადებული მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოდ 4,581,137 მ.

ზემბინი. დაკისკში დაატუსაღეს 17 სიონისტ-სოციალისტი.

სამარა. პოლიციამ სოფ. როჟდესტვენსკაში 200-ზე მეტი ვინტოვკა იპოვა და იარაღისა და ბომბების საწყობები.—გენ. სერგეევის მოკვლის განზრახველ სალდათ ვლასოვს 15 წ. კატორღა გადაუწყვიტეს.

მოსკოვი. მუშების დეპუტატთა ასარჩევად უმეტესად, არჩეულ იქმნენ მოსკოვში ზოგიერთი პროგრესისტები. მოსკოვის მაზრის ფაბრიკებზე კი მოხვდნენ უკიდურეს მიმართულების მუშები.

გაძარცვეს სარატოვის მაზრის ფოსტის ვაგონი. ამბობენ, 20,000 მანეთი წაიღესო.

ბელგრადი. რადგანაც არ მოხდა შეთანხმება რადიკალთა ორივე ჯგუფს შორის, ამიტომ მეფემ ერთხელ კიდევ მიმართა დამოუკიდებელთ და სთხოვა სამინისტროს დაარსება. მდგომარეობა მეტად გასაჭირია, დიდის ხნის კრიზისის გამო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი.**

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

ალოშეჰ ა

და რუსეთის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიჟის გამოფენაზე

მიეცემა რუსეთში მხოლოდ ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

მანუფაქტურისას

დაარს. 1860 წელს

[illegible] გულადობა მიაქციონ ქარხნის ნიშანს, რომელიც ამხანაგობის დაარსების წლიდან „1860“ და სიტყვას „С.-Петербургъ“ წითელ სამკუთხედში (ფაბრიკის ნიშანი).

ნარდად გაყიდვა აწარმოებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ოდესას, ტომსკს და ტფილისში.

---

*) ეს ჩემი წერილი დასტამბული იყო გაზეთ „Русь“-ში 16 თებერვალს.

სწრაფმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართ. ამხ.“-სა. ვანქის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 373.